ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

შაბათი – კვირა, 30 ნოემბერი – 1 დეკემბერი, 2019

№284 (8238)

ფასი: 60 თეთრი

სასამართლომ ირაკლი ოჭრუაშვილი პატიმრობაში დატოვა

გვ.5

26 ნოემბრიდან

იაკობ გოგებაშვილი

საგანძური

ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი



„დღევანდელი „ოცნება“ 2012 წლის ნაცმოძრაობის ასლია“

გვ.3

პაატა ზაქარეიშვილი: „ხელისუფლება ჯოჯოხეთის გზას დაადგა და სახელმწიფოც აქეთკენ მიჰყავს“

დავით დარჩიაშვილი: „ოცნებისგან“ ყველანაირი სისულელეა მოსალოდნელი“

გვ.3

„ხელისუფლებას სკამების, მანქანების, პრემიების, ვიზიტებისა და აუზების დათმობა არ უნდა“

გვ.3

გია ბარამიძე: „ქართულ ოცნებას“ შერეული სისტემითაც დავამარცხებთ“

„უტიფარ ივანიშვილს საქართველო ქართველების გარეშე უნდა“

„სკოლებიდან 6_200 მასწავლებელი ქუჩაში გაუშვეს“

გვ.5

გვ.2

„ლელო“, „შენების მოძრაობა“ და „ახალი მემარჯვენეები“ პოლიტიკურ თანამშრომლობას იწყებენ

მირიან მირიანაშვილი: „უმრავლესობის დაშლა რუსების გაკეთებულია“

გვ.4

„ე.წ. დასავლური ოპოზიცია რიგგარეშე არჩევნების ვადებს მალავს“

ოპოზიციამ ხელისუფლებას არჩევნების ახალი მოდელი შესთავაზა

გვ.2

ISSN 1987-9385

2 ზვიად გამსახურდია 5 ქართველ პრეზიდენტს შორის პირველ ადგილზეა

2 ლაშა ჩხარტიშვილი დააკავეს

„ოქმში წერია, რომ ხელში ლობიოს მარცვლები ეჭირა და ჰაერში აყარა“

5 კახა წაველიძე პოლიციის მანქანის გატაცებაში დამნაშავედ ცნეს

„მანქანას პოლიციის მაღალჩინოსანი გიორგი პატიაშვილი მართავდა“

6 ჩრდილოეთ კორეამ კიდევ ორი რაკეტა გაუშვა

ოპოზიციამ ხელისუფლებას არჩევნების ახალი მოდელი შესთავაზა



ოპოზიციამ ხელისუფლებას 2020 წლის არჩევნების ახალი მოდელი შესთავაზა.

ამ მოდელის თანახმად, პარლამენტი შედგება პროპორციული სისტემით არჩეული 77 და მაჟორიტარული სისტემით არჩეული 73 პარლამენტის წევრისგან. ამასთან, პროპორციული სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგად პარლამენტის წევრთა მანდატები განაწილდება იმ პარტიებსა და ბლოკებზე, რომლებიც მიიღებენ ამომრჩეველთა ხმების 3%-ს მაინც.

პროექტით, მაჟორიტარული სისტემით არჩევნები იმართება მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქებში, რომლებშიც მანდატების რაოდენობა უნდა იყოს არანაკლებ 6-ს და არაუმეტეს 8-ს.

ოპოზიციის მიერ შემუშავებული პროექტით, პარტიის/ბლოკის მიერ ორივე საარჩევნო სისტემით მიღებული მანდატების ჯამი არ უნდა აღემატებოდეს რიცხვს, რომელიც ტოლია 150-ის იმდენი პროცენტისა, ხმების რამდენი პროცენტიც მიიღო პარტიის/საარჩევნო ბლოკის პარტიულმა სიამ.

ინიციატივის ავტორი 30-მდე პარტიაა, მათ შორის „ევროპული საქართველო“, „ნაციონალური მოძრაობა“, „ლელო“, „შენების მოძრაობა“, „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველო“ და ა.შ.

30 ნოემბერს ხელისუფლება და ოპოზიცია მოლაპარაკების მაგიდას მიუსხდებიან.

შეხვედრის ინიციატორი დიპლომატიური კორპუსია. ამ დეტალზე 29 ნოემბერს პარლამენტის ყოფილმა თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ განსაკუთრებული აქცენტი გააკეთა.

მიუხედავად იმისა, რომ დიალოგი იწყება, მმართველი გუნდის პოზიცია ე.წ. გერმანულ მოდელთან დაკავშირებით უცვლელია.

„ქართული ოცნების“ გუნდიდან დაანონსებულ შეხვედრას არჩილ თალაკვაძე, ირაკლი კობახიძე და იურისტთა ნაწილი დაესწრებიან. უცნობია, ვინ მივა მოლაპარაკებაზე ოპოზიციიდან.

ერთადერთი საკითხი, რაზეც ხელისუფლებასთან ოპონენტები საუბარს გეგმავენ, გერმანულ საარჩევნო სისტემაზე დაფუძნებული მოდელია. ოპოზიცია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეს არ უნდა იყოს „შეხვედრა შეხვედრისთვის“.

მოლაპარაკების ფორმატზე სასაუბროდ 29 ნოემბერს პარლამენტში ევროკავშირის ელჩი მივიდა.

კარლ ჰარცელის განცხადებით, დიალოგი სასწრაფო და აუცილებელია. ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის მოლაპარაკების რეჟიმს მხარს უჭერს საქართველოში აკრედიტირებული მთელი დიპლომატიური კორპუსი.

ინფორმაციას, რომ მოლაპარაკებები იწყება, 29 ნოემბერს ჯეიმს აპატურაი გამოეხმაურა.

სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ნატოს სპეციალურმა წარმომადგენელმა სოციალურ ქსელში დაწერა, რომ კონსენსუსის მიღწევა დემოკრატიის დემონსტრირება იქნება.

„ლელო“, „შენების მოძრაობა“ და „ახალი მემარჯვენეები“ პოლიტიკურ თანამშრომლობას იწყებენ



„ლელო“, „შენების მოძრაობა“ და „ახალი მემარჯვენეები“ პოლიტიკურ თანამშრომლობას იწყებენ.

შესაბამისი განცხადება „ლელოს“ ლიდერმა მამუკა ხაზარაძემ, „შენების მოძრაობის“ თავმჯდომარე დავით უსუფაშვილმა და „ახალი მემარჯვენეების“ წარმომადგენელმა ფიქრია ჩიხრაძემ 29 ნოემბერს ერთობლივ პრესკონფერენციაზე გააკეთეს.

– კოორდინაცია-კონსულტაციის რეჟიმი ნიშნავს შემდეგს: „ლელო“, „შენების მოძრაობა“, „ახალი მემარჯვენეები“ დღეიდან ჩვენს სხვა ნაბიჯებსაც შევათანხმებთ ერთმანეთთან, გარდა პროპორციული არჩევნებისა საერთო ოპოზიციურ ფორმატში, რომელსაც, რა თქმა უნდა, გავაგრძელებთ.

მჭიდრო კონსულტაციები ნიშნავს იმას, რომ ჩვენ საარჩევნო პროცესს კოორდინირებულად ვუყურებთ. შესაძლოა, ვიყოთ პარტნიორები საარჩევნო პროცესში, შესაძლოა, ვიყოთ კონკურენტები საარჩევნო პროცესში და პარტნიორები უკვე პარლამენტში. ამას გვაჩვენებს მომავალი.

მთავარია, ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ კოორდინაცია იყოს ეფექტური, – განაცხადა დავით უსუფაშვილმა.

მამუკა მდინარაძეს 41 ვერცხლი მიუტანეს

„ციფრი 41 აშინებთ, ტანში ზარავთ ამის გაგონებაზე“

– ციფრი 41 აშინებთ, ტანში ზარავთ ამ 41-ის გაგონებაზე.

ასე გამოეხმაურა საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი მამუკა მდინარაძე მოძრაობა „გაბედეს“ წევრების მიერ მის მაჟორიტარულ ბიუროსთან „41 ვერცხლის“ მიტანას.

დეპუტატი ამბობს, რომ მისი შევიწროების ბრძანება ამ ადამიანების „სულიერმა ლიდერმა მიხეილ სააკაშვილმა“ გასცა და აცხადებს, რომ სააკაშვილი ვერც მას და ვერც სხვებს ვერასდროს შეავიწროებს.

– ვიდრე ამ ამბავს გავიგებდით, დიტო სამხარაძემ, ჩვენმა კოლეგამ რამდენიმე წუთით ადრე დაპოსტა ფეისბუქში, რომ თურმე მათ სულიერ და ისედაც ლიდერს, მიხეილ სააკაშვილს უბრძანებია, მდინარაძე მაგრად გვირტყამს და იქნებ შეავიწროოთო და ბრძანება შესრულდა უმოკლეს დროში – მოვარდნენ, ციფრი 41 ხომ აშინებთ, ტანში ზარავთ ამ 41-ის გაგონებაზე, ჩემთან შეხვედრას ითხოვდნენ, როცა ზუსტად იცოდნენ, რომ აქ ვარ, სხდომაზე ბევრი საქმე გვაქვს ძალიან.

ეს არის მარგინალური ჯგუფების მიერ მიხეილ სააკაშვილის დავალების შესრულება. იყო ინფორმაცია, რომ მე უნდა შემავიწროონ. ვერასდროს ვერ შემავიწროებს ვერც მე და ვერც ვერავის მიხეილ სააკაშვილი, მაგის პირობას გაძლევთ, – განაცხადა მამუკა მდინარაძემ.

გიორგი კეკელიძე: „რუსული ენისა და კულტურის ცენტრის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გახსნაზე საჯარო უარს ვაცხადებთ“

ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი გიორგი კეკელიძე ბიბლიოთეკაში რუსული ენისა და კულტურის ცენტრის გახსნაზე უარს აცხადებს.

– ერთხელ ორი თვის წინ და ერთხელაც ზაფხულის დასაწყისში შემხვდა რუსეთიდან ჩამოსული კულტურული უწყების რამდენიმე წარმომადგენელი და შემომთავაზა, ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაგვეხსნა რუსული ენისა და კულტურის ცენტრი, რადგან უკვე გვაქვს ასეთი ანგლო-ამერიკული, ფრანგული, გერმანული, იტალიური, ებრაული ცენტრები.

მე უარით გავისტუმრე. თუ ბატონო კარასინი ისევ ეროვნულ ბიბლიოთეკას გულისხმობს, რადგან მსოფლიო პრაქტიკა სწორედ ასეთ სივრცეში ითვალისწინებს კულტურული ცენტრების გახსნას, მაშინ მიიღოს საჯარო უარიც იმ ქვეყნის ბიბლიოთეკისგან, რომლის ნაწილიც გუშინ დაიპყრეს და დღეს საუკეთესო შვილებს გვტაცებენ.

ეთნოკულტურული ფაშიზმისგან ძალიან შორს ვართ. ისეთივე წესების დაცვით ვინახავთ რუსულენოვანი წიგნების დიდ ფონდს, როგორც სხვა დანარჩენს. მე კი ახლა საფრანგეთში ვარ, სადაც სწორედ ამგვარი ქართული ცენტრის გახსნაზე ვმუშაობთ, – განაცხადა გიორგი კეკელიძემ.

რუსი დიპლომატის, გრიგორი კარასინის, განცხადებით, დეკემბრის შუა რიცხვებში, თბილისში, რუსული ენისა და კულტურის ცენტრი გაიხსნება, „რომელიც უდავოდ მნიშვნელოვან როლს შეასრულებს რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობების განვითარებაში“.

შესაბამისი კომენტარი კარასინმა რუსულ მედიასთან, ზურაბ აბაშიძესთან პრაღაში 28 ნოემბერს გამართული შეხვედრის შემდეგ გააკეთა.

ზვიად გამსახურდია 5 ქართველ პრეზიდენტს შორის პირველ ადგილზეა



ტელეკომპანია „ფორმულის“ დაკვეთით ამერიკული კვლევითი ორგანიზაციის „ედისონ რისერჩის“ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის თანახმად, საქართველოს ყოფილი და მოქმედი პრეზიდენტების დადებით შეფასებაში პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია ლიდერობს.

შეკითხვაზე, როგორ შეაფასებთ საქართველოს ყოფილი და ამჟამინდელი პრეზიდენტების საქმიანობას? მოსახლეობა ასე პასუხობს:

ზვიად გამსახურდია: 77% – დადებითი; 23% – უარყოფითი;

გიორგი მარგველაშვილი: 59% – დადებითი; 41% – უარყოფითი;

მიხეილ სააკაშვილი: 57% – დადებითი; 43% – უარყოფითი;

სალომე ზურაბიშვილი: 30% – დადებითი; 70% – უარყოფითი;

ედუარდ შევარდნაძე: 28% – დადებითი; 72% – უარყოფითი.

„ედისონ რისერჩმა“ კვლევა 12 ნოემბრიდან 23 ნოემბრის ჩათვლით აწარმოა.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონის მოსახლეობის გარდა საქართველოს ყველა რეგიონში მცხოვრებმა 2.000-მა ადამიანმა.

არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლების მქონე რესპონდენტები შემთხვევითი შერჩევის პრინციპით იქნენ არჩეულნი. შესაძლო ცდომილება 2.2%-ია 95%-იანი სანდოობის დონისთვის.

„საქართველოს ფოსტა“ 2 თვეში გასაყიდად მზად იქნება

ეკონომიკის მინისტრის, ნათია თურნავას განცხადებით, „საქართველოს ფოსტა“ გასაყიდად მზად 2 თვეში იქნება.

სახელმწიფო საწარმოების პრივატიზებაზე საუბრისას ნათია თურნავამ ინტერპრესნიუსს განუცხადა, რომ შემდეგი მსხვილი საწარმო, რასაც სახელმწიფო გაყიდის, „საქართველოს ფოსტაა“.

მისივე განცხადებით, სტრატეგიული ობიექტების, „საქართველოს რკინიგზის“ და „სახელმწიფო ელექტროსისტემის“, გაყიდვა არ განიხილება.

– შემდეგი, რასაც საპრივატიზაციოდ ვამზადებთ, არის „საქართველოს ფოსტა“. ესეც არაა მარტივი, რომ ერთბაშად შესთავაზო ბიზნესს გასაყიდად. აქ არაერთი მნიშვნელოვანი მომენტია, მათ შორის სოციალური.

ადამიანებს აინტერესებთ, როგორ მოემსახურება მათ ფოსტა, რაც უნდა გავითვალისწინოთ იმდაგვარად, რომ ამ ობიექტმა მიმზიდველობა შეინარჩუნოს. ახლა სრულდება შეფასება და უახლოეს 2 თვეში ფოსტა მზად იქნება საპრივატიზაციოდ. სხვა საწარმოებიც შეუერთდება ამ სიას. თუმცა, რა თქმა უნდა, ყოველთვის იარსებებს სტრატეგიული საწარმოები, რომელთა პრივატიზებაც არ განიხილება. ასეთია რკინიგზა და სახელმწიფო ელექტროსისტემა, რომელთა პრივატიზებაც არ განიხილება, – განაცხადა ნათია თურნავამ.

ლაშა ჩხარტიშვილი დააკავეს

„ოქმში წერია, რომ ხელში ლობიოს მარცვლები ეჭირა და ჰაერში აყარა“

29 ნოემბერს ეროვნულ ბიბლიოთეკასთან გამართულ აქციაზე ლაშა ჩხარტიშვილი დააკავეს.

მისი ადვოკატის ია სირანაშვილის განცხადებით, ჩხარტიშვილი იმის გამო დააკავეს, რომ „ხელში ლობიოს მარცვლები ეჭირა და ჰაერში აყარა“.

მისივე თქმით, რაიმე დარღვევის ფაქტები ბრალდების მიერ წარმოდგენილ ვიდეომტკიცებულებაში არ ჩანს.

– დაკავების ოქმში წერია, რომ ლაშას ხელში ეჭირა ლობიოს მარცვლები და აყარა ჰაერში. ამის გამო დააკავეს. სხვა მეტი არაფერი არ ჩანს იმ ვიდეომტკიცებულებაში, რომელიც ჩვენ გადმოგვეცა, – განაცხადა ადვოკატმა.

ლაშა ჩხარტიშვილს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლების დარღვევას ედავებიან.

ლაშა ჩხარტიშვილი მოსამართლემ სასამართლო დარბაზიდან გააძევა და ჯარიმის სახით 300 ლარი დააკისრა.

მერაბ ქვარაია: „სააკაშვილის მოდელირებული ხილვები ირონიულ ღიმილს იმსახურებს“

– საქართველოს პოლიცია ერთნაირად ღირსეულია ყველგან, დედაქალაქშიც და რეგიონებშიც, რაც ყველაზე მთავარია, პოლიცია დღეს ემსახურება ხალხს, წესრიგს, ჩვენი ქვეყნის სტაბილურ, წარმატებულ მომავალს და ამას ხედავს საზოგადოება.

ამის შესახებ ზუგდიდის მაჟორიტარი დეპუტატი მერაბ ქვარაია სოციალურ ქსელში წერს, რომლითაც ყოფილ პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს ეხმიანება.

„სააკაშვილის მოდელირებული ხილვები მხოლოდ ირონიულ ღიმილს იმსახურებს და რა გასაკვირია, რომ პოლიცია, რომელიც არ ემორჩილება სააკაშვილს და არ აძლევს მას საკუთარი გეგმების განხორციელების უფლებას, მისთვის ამორალური და მიუღებელი იქნება.

ამიტომაც დაიწყო მისი და ოპოზიციის ლიდერების ორკესტრირებული შეტევა პოლიციაზე“, – წერს მერაბ ქვარაია.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 294-02-55
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

დავით დარჩიაშვილი: „ოცნებისგან“ ყველანაირი სისულელეა მოსალოდნელი“

„ხელისუფლებას სკამების, მანქანების, პრემიების, ვიზიტებისა და აუზების დათმობა არ უნდა“

ნათია ხურცილავა

„ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი **დავით დარჩიაშვილი** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო დავით, ევროკავშირის ელჩმა კარლ ჰარცელმა ოპოზიციასა და ხელისუფლებას დიალოგისკენ მოუწოდა. არის ოპოზიცია მზად დიალოგისთვის?

– ეს მოწოდება ხელისუფლებას ეხება. ოპოზიცია მოლაპარაკებების წინააღმდეგ არასდროს ყოფილა. ოპოზიცია საარჩევნო სისტემის ცვლილებას ითხოვს, იმ დანაპირების შესრულებას, რაც იყო. კანონპროექტის შექმნას, რა თქმა უნდა, მსჯელობა სჭირდება წინასწარ თუ შემდეგ პარლამენტის დარბაზში, მაგრამ ეს გადაწყვეტილება ხელისუფლების მისაღებია. შესაბამისად, ელჩების, დასავლელი პარტნიორების მოწოდებები სრულიად გასაგებია, მაგრამ ამ ყველაფრის იგნორირება ბოლო დღემდე ხდებოდა, ვერ გეტყვით, ახლა თუ აზრს შეიცვლიან.

– ფიქრობთ, შეიცვლიან?

– მორიგი ტრიუკი იქნება თუ სერიოზული განწყობა, მიჭირს ამ ყველაფრის შემდეგ ამის თქმა.

– თემა დახურულია, არჩევნებისთვის მოემზადეთ, ასეთი იყო „ქართული ოცნების“ მოწოდება.

– თემას ივანიშვილი და მისი ანტურაჟი ხურავდა, მაგრამ დასავლეთის ზეწოლა ამის შესაძლებლობას მათ არ მისცემს.

დასავლეთის ზეწოლა შედეგია იმ განწყობების, რომლებიც თავად საზოგადოებაშია, იმ საპროტესტო მუხტის, რომელიც არის ქვეყანაში. ჰაერიდან არ მოსულა დასავლეთის ზეწოლა.

ეს ზეწოლა გადაიზრდება ისევ ტრიუკის მცდელობაში, ყველას მოტყუების მცდელობაში, თუ ხელისუფლება მიხვდება, რომ მოტყუების ლიმიტი ამოწურულია, ეს უნდა ვნახოთ.

– რატომ, უშვებთ შესაძლებლობას, რომ ისევ რაღაც ცადოს ხელისუფლებამ?

– რასაკვირველია! რატომ არ უნდა დაუშვა შესაძლებლობა, როდესაც საქმე მატყუარებთან გვაქვს?!

– რაზე შეიძლება იყოს დიალოგი? გიგა ბოკერია აცხადებს, რომ დიალოგის თემა მხოლოდ პროპორციულ საარჩევნო სისტემას უნდა შეეხებოდეს.

– დიახ, თემა არის პროპორციული საარჩევნოს სისტემა. მთავარი თემა არის ეს.

– გერმანული მოდელი თუ პირდაპირ პროპორციული სისტემის ამოქმედება, როგორც დაპირება იყო?

– გერმანული მოდელი ამის სწრაფად და უმტკივნეულოდ გაკეთების შესაძლებლობას იძლევა. მთელი ამ ამბის შინაარსი ხომ ის არის, რომ მაჟორიტარები აუჯანყდნენ ივანიშვილს, რომ მაჟორიტარებმა მოაწყვეს ამბოხი გუნდში, ჰოდა, ჩვენ ვთავაზობთ, რომ ე.წ. გერმანული მოდელი შეიძლება მათი უკმაყოფილების პირობებშიც კი მიიღონ.

ბურთი მათ მოედანზეა. უნდათ, პროპორციული საარჩევნოს სისტემა მიიღონ, უნდათ, ე.წ. გერმანული მოდელი. ჩვენ მხოლოდ დაველოდებით ხელისუფლების გადაწყვეტილებას.

ოპოზიციის მხრიდან ყველანაირი კონსტრუქციული წინადადება იყო და არის კიდეც. მთავარია, გადაწყვეტილება მიიღონ და, რა ფორმით შეფუთავენ, ესეც მათი გადასაწყვეტია, მთავარია, ეს არ იყოს ტყუილი.

ეს ყველაფერი ძალიან მალე გამოჩნდება.

– ქუჩაში პროტესტი შეწყდება?

– აუცილებლად გაგრძელდება. სხვა ენა ამ ადამიანებს არ ესმით. საპროტესტო აქციები

გაგრძელდება იმისთვის, რომ კარგად დაინახონ, რომ საზოგადოება თავის პოზიციაზე მყარად დგას.

– თუმცა ხელისუფლება გპასუხობთ, რომ პარლამენტი აგრძელებს მუშაობას, სესია არ არის ჩაშლილი, მთავრობა თავისი დღის წესრიგით მოქმედებს.

– როგორ მოქმედებს თავისი დღის წესრიგით და რა ნერვული ატმოსფეროც აქვთ, ეს კარგად იგრძნობა. მართლაც ისე რომ იყოს, როგორც ამბობენ, მაშინ მათი მხრიდან ეს განცხადებები არ გაკეთდებოდა.

თუმცა ყველანაირი სისულელეა მოსალოდნელი, მაგალითად, ისეთი, რომ რკინის კედლებით გაყონ ქუჩები, ისე, რომ ადამიანები საკუთარ სახლამდე ვერ მივიდნენ, იმდენად შეყვარებულები არიან ძალაუფლებაზე.

უფრო ზუსტად კი ეს ერთი ადამიანისგან მოდის, დანარჩენი შლეიფი იქცევა ისე, როგორც ამ ერთ ადამიანს უნდა. შლეიფი სკამების, მანქანების, პრემიების, ვიზიტების, აუზების ხიბლშია, ამის დათმობა არ უნდათ. ეს არის და ეს.

ძალიან გაუტკბათ. ამ სიტკბოებას რომ ვერ ელევიან, ამიტომ ათასგვარი სისულელე მოსდით. არადა, რეალურად ადეკვატური ხელისუფლება ამ დროს კომპრომისებზე უნდა ფიქრობდეს.

– ივანიშვილი, ხელისუფლება ამბობს, რომ ქუჩაში ნაციონალური მოძრაობა და მისი 200 მხარდამჭერი დგას.

– ნაციონალური მოძრაობა ამ პროცესების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონაწილეა, მაგრამ ეს პროცესი ამით არ იწყება და არ მთავრდება. ეს ჩანს ამ აქციების ორგანიზატორების შემადგენლობიდან, ასევე ჩანს იმ მიტინგებიდან, რომლებიც იმართება რუსთაველზე.

თანამედროვე ტექნოლოგიები იძლევა იმის შესაძლებლობებს, რომ დათვალონ, რეალურად რამდენი ადამიანი გამოდის დიდ მიტინგებზე. კონკრეტულ მოცემულ მომენტში, მაგალითად, ამ წუთში, პარლამენტის შენობის წინ ვდგავარ და 200 კაციც არ დგას, ძალიან ცოტანი ვართ, მაგრამ ეს რამეს ცვლის?! ცვლის იმ საპროტესტო განწყობას, რომელიც ქვეყანაშია?! ადამიანები ისვენებენ, ელოდებიან გადაწყვეტილებებს, მოწოდებებს, ასე მოქმედებენ.

– როგორ ფიქრობთ, ხელისუფლება დაიხევს უკან, მოუწევს პირობის შესრულება?

– საბოლოო ჯამში, ასე იქნება, რადგან ივანიშვილი დინების საწინააღმდეგოდ მოძრაობს. დინების წინააღმდეგ მოძრაობა კი შეუძლებელია, დიდხანს გაგრძელდეს.

ყველანაირი რესურსი, მათ შორის ადმინისტრაციულიც და ფინანსურიც, ამოწურვადია, თუკი შენი პოლიტიკა ქვეყნის ინტერესებს, მის განვითარებას ეწინააღმდეგება.

გია ბარამიძე: „ქართულ ოცნებას“ შერეული სისტემითაც დავამარცხებთ“

„უტიფარ ივანიშვილს საქართველო ქართველების გარეშე უნდა“

იაგო ნაცვლიშვილი

პარლამენტთან ოპოზიციის აქცია გრძელდება. 29 ნოემბერს მმართველმა გუნდმა მორიგი სიურპრიზი შესთავაზა საზოგადოებას. მაშინ, როდესაც პარლამენტის პიკეტირება 10 საათზე იგეგმებოდა, საპარლამენტო უმრავლესობის წევრები დილის 7-8 საათზე მივიდნენ. შემდეგ კი მცირე დაპირისპირება მოხდა ეროვნულ ბიბლიოთეკასთან, სადაც თეა წულუკიანი მივიდა და აქციის მონაწილეები იუსტიციის მინისტრს პროტესტით დახვდნენ.

რა პროცესები მიდის ქართულ პოლიტიკაში, ხომ არ უნდა ველოდოთ საზოგადოების დაპირისპირებას, ელოდებიან თუ არა დაჭერებს და რაში გამოიხატება ოპოზიციის მიერ მიღწეული პროგრესი, მაშინ როდესაც, ბიძინა ივანიშვილი და მისი ხელისუფლება დათმობას არც კი განიხილავს? – ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი **გია ბარამიძე** საუბრობს.

– შეაფასეთ ბოლოს განვითარებული მოვლენები. დეპუტატები საკანონმდებლო ორგანოში დილის 7-8 საათზე გამოცხადდნენ, შემდეგ კი ვნახეთ ეროვნულ ბიბლიოთეკასთან დაპირისპირება. რასთან გვაქვს საქმე?

– ფაქტია, რომ ხელისუფლება და ეს რეჟიმი ძალიან მძიმე მდგომარეობაშია და ჯერ პარლამენტში შესასვლელად და ბიუროს ჩასატარებლად რობოკოპები გამოიყენეს, შემდეგ ჯერზე კი აბსოლუტურად გამაოგნებელი რაღაცა ვნახეთ ჩვენ დედაქალაქის ცენტრში – მას შემდეგ, რაც ჩვენ ოკუპაციის ხაზზე გვაქვს ბარიერები აღმართული, მაგის მსგავსი და ბერლინის კედლის მსგავსი ჯებირები აღმართეს და გარს შემოარტყეს პარლამენტს.

ამ მეთოდით შეეცადნენ პროტესტის ხელშეშლას და ამ პროცესის ჩაშლას.

ბოლოს კი უკვე დილის 5 საათზე ადგომა მოუწიათ დეპუტატებს, რათა 7 საათზე პარლამენტში ყოფილიყვნენ. ნათელია, რომ ხელისუფლებას, რომელსაც განურჩევლად ორიენტაციისა, მთელი პოლიტიკური სპექტრი უპირისპირდება, დაკარგული აქვს მორალური ზნეობა და ფსიქოლოგიური უპირატესობაც. იმაზე რომ არ ვილაპარაკოთ, რომ ის ძალიან სერიოზულად გაკოტრებულია იმ შედეგების გამო, რაც სახეზე გვაქვს 7 წლის მმართველობის შედეგად.

– ამის ფონზე ივანიშვილი მაინც ნაციონალურ მოძრაობას ახსენებს ყველა ბრუნვაში.

– დიახ, ეს აჩვენებს მის არაადეკვატურობას. ის მოწყვეტილია რეალობას და ვერ გრძნობს საკუთარ პასუხისმგებლობას. ის ლაპარაკობს ტონით, თითქოს მან ყველა დაპირება შეასრულა. ანუ უტიფრობის ზეიმია, მაშინ როდესაც, ციფრები ყველაზე კარგად საუბრობენ ფაქტების თაობაზე.

საქართველოს ეკონომიკის ნიშნული დღეს 16 მილიარდზე ნაკლებია, ეს ხდება 7 წლის შემდეგ, იმ დროიდან, რაც ივანიშვილმა

გაგრძელება მე-4 გვერდზე

„დღევანდელი „ოცნება“ 2012 წლის ნაციმოძრაობის ასლია“

პაატა ზაქარეიშვილი: „ხელისუფლება ჯოჯოხეთის გზას დაადგა და სახელმწიფოც აქეთკენ მიჰყავს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს კონფლიქტოლოგი, ყოფილი სახელმწიფო მინისტრი **პაატა ზაქარეიშვილი** პასუხობს.

– ბატონო პაატა, მძიმე და კრიზისული ვითარებაა ქვეყანაში. რამდენად ჩიხური სიტუაციაა და ხედავთ თუ არა გამოსავალს?

– გამოსავალი არის, მაგრამ, პირველ რიგში, ხელისუფლებას არ უნდა გამოსავლის ძებნა. თქვა, რომ მორჩა, დასრულდა საუბარი. ამით კი ყიდის თავის თავს, რომ ეს ყველაფერი დაგეგმილი იყო წინასწარ, პროპორციულ სისტემაზე უარის თქმა.

პრინციპულია ოპოზიციაც, მაგრამ ისინი ტოვებენ შანსს გამოსავლისას თუ ხელისუფლება დათმობს პოზიციებს და დაიწყებს გამოსავლის ძებნას. მოლაპარაკებები უნდა დაიწყოს, არის თუ არა გამოსავლის ძებნის სურვილი. თუ ძებნის სურვილი არის, მაშინ გამოსავალი შეიძლება იყოს უამრავი. ხელისუფლება ამაზე უნდა წამოვიდეს, მან უნდა დაიწყოს ლაპარაკი გამოსავლის ძებნაზე. როდესაც ის ამბობს, რომ დასრულებულია ამაზე ლაპარაკი და 2020 წელს არჩევნები ჩატარდება შერეული სისტემით, რა დიალოგზე შეიძლება იყოს ლაპარაკი?!

ივანიშვილის ინტერვიუ საერთოდ ცივი წყლის გადასხმა იყო ამ ყველაფერზე. მან გვითხრა, რომ გამორიცხულია, რამე იმედები გქონდეთ ჩვენგან, ჩვენ არაფრის დათმობას არ ვაპირებთო. მან გვითხრა, მირჩევნია, საქართველო დაიცალოს აქ მცხოვრებლებისგან, ვიდრე ჩვენ რამე დავთმოთო.

– საზოგადოების დიდი ნაწილი დაიღალა ამ ქაოსით. პროცესების როგორ განვითარებას ელით?

– საზოგადოების დიდი ნაწილი იმდენად არ დაიღალა, რამდენადაც არ ესმის, რა ხდება. თუ შევარდნაძის დროს ხალხი ქუჩაში გამოდიოდა და ამის მიზეზი იყო კორუფცია, ხოლო ნაციონალების დროს იყო ტერორი ყველგან, ახლა ხალხი არ გამოდის, რადგან ბევრს არ ესმის, რა განსხვავებაა პროპორციულსა და მაჟორიტარულ არჩევნებს შორის.

ხალხს არ უნდა, ვიღაცა დეპუტატების ახირების გამო ქუჩაში გამოვიდეს. ხალხი თვლის, რომ ეს არის სხვადასხვა ფორმით ხელისუფლებაში მოსვლა. ხალხი ფიქრობს, რომ სკამებისთვის ბრძოლა მიდის და ეს მას არ ეხება. ეს არ არის კორუფცია, ეს არ არის წამება. ამიტომ საზოგადოებისთვის ეს არის პოლიტიკოსებს შორის ბრძოლის არენა და ხალხი ამ ყველაფერს საფრთხედ ვერ აღიქვამს.

„ქართულ ოცნებას“ ჰგონია, რომ ეს არის მისი დიდი პლუსი, ფიქრობს, რადგან ხალხი ქუჩაში არ გამოდის, ის მოიგებს არჩევნებს. თუნდაც მოიგოს, მერე რაღას აპირებს?! კრიზისში ხომ თვითონ შეიყვანა ეს ქვეყანა?!

– ანუ თუ ის დარჩა, არაფერი შეიცვლება, ამის თქმა გინდათ?

– რა თქმა უნდა და ეს საზოგადოებას კარგად უნდა ავუხსნათ. ჩვენ ხალხს უნდა ავუხსნათ, რომ თუ „ოცნება“ დარჩება ხელისუფლებაში, არაფერი შეიცვლება. ამ ხელისუფლების მშვიდობიანი გაშვების ფორმა არის პროპორციული არჩევნები, პროპორციული სისტემა.

ვერც ნაციონალური მოძრაობა მოვა პროპორციული არჩევნების შედეგად, როგორც ესენი ხალხს აშინებენ. ნაცმოძრაობა დამარცხდა 2012 წელს, ის ხალხმა გაისტუმრა. ახლა ლაპარაკი მათ ცოდვებზე, ცოტა არ იყოს, უცნაურია. მათ უკვე პასუხი აგეს, არჩევნები პირწმინდად წააგეს და აგეს ციხით პასუხი. მათი ბევრი ლიდერი აღმოჩნდა ციხეში. ხოლო მთავარი ლიდერი დევნილობაშია დღემდე. ასე რომ, დღეს ლაპარაკი მათ წარსულ ცოდვებზე, ცოტა არ იყოს, უცნაურია, როცა ხალხი მზად არის, ხმა მისცეს.

ხალხმა „ოცნებას“ უთხრა, რომ არავის საქმე არ არის, როგორ იქცეოდა წარსულში ნაცმოძრაობა, ის დღეს შენს თავს მირჩევნია.

– ნაცმოძრაობა როცა ხელისუფლებაში იყო, ისიც წინააღმდეგი იყო პროპორციული არჩევნების.

– დღეს მომხრეა. დღევანდელ ნაციონალურ მოძრაობასა და 2012 წლამდე არსებულ ნაციონალურ მოძრაობას შორის დიდი განსხვავებაა, ხოლო დღევანდელ „ქართულ ოცნებასა“ და იმდროინდელ ნაცმოძრაობას შორის ძალიან ბევრი საერთოა.

– რა გადაწყვიტა ივანიშვილმა – ან ყველაფერი, ან არაფერი?

– დიახ, ივანიშვილმა ასე გადაწყვიტა, ან ყველაფერი, ან არაფერი. ეს ცალსახა და მკაფიოა. ეს არის ძალიან დიდი შეცდომა, რომელიც ჩვენს სახელმწიფოს აზარალებს.

– პროცესების როგორ განვითარებას ელოდებით? იქნება ვადამდელი არჩევნები თუ წამოიყვანს დასავლეთი ხელისუფლებას დათმობაზე?

– არ მგონია, „ოცნებამ“ რამე დათმოს. მათ ჰგონიათ, რაკი ხალხი არ გამოდის მიტინგებზე, ამიტომ ესენი წარმატებულები არიან. ხელისუფლება ჯოჯოხეთის გზას დაადგა და სახელმწიფოც აქეთკენ მიჰყავს. მე ვერ ვხედავ, რატომ უნდა გადაიფიქროს „ოცნებამ“ და გადახედოს თავის პოზიციებს. დათმობაზე კი არა, ამ სიტუაციიდან გამოსვლაზე უნდა წავიდეს, რაც მისთვისაც სასარგებლო იქნება. თუმცა ეს არ ესმით.

– თუკი ვერ შედგა შეთანხმება და „ოცნებამ“ თავისი გაიტანა?

– მაშინ ჩატარდება არჩევნები ან ვადამდელი, ან ვადაზე, ოღონდ ძველი სისტემით.

– მაგრამ ეს ხომ არ ნიშნავს იმას, რომ ამ კრიზისიდან გამოვალთ?

– კრიზისი კიდევ უფრო გაღრმავდება. თუ ოპოზიციამ ვერ მიიღო ის შედეგი, რაც მას აწყობს და არ იქნება ასახული ის სურათი და განწყობა, რაც საზოგადოებაშია, მაშინ ოპოზიციას კვლავ რჩება უპირატესობა, ქვეყანა წაიყვანოს უკვე ნამდვილი ვადამდელი არჩევნებისაკენ,

სადაც უკვე პროპორციული სისტემა იქნება. უპირატესობა ყველა სიტუაციაში ოპოზიციას აქვს.

ამას რატომ ვერ თვლის ხელისუფლება, არ მესმის.

– ანუ, არა გაქვთ დიდი მოლოდინი, რომ თუნდაც ელჩების ზეწოლის შედეგად რაიმე დათმოს ხელისუფლებამ?

– ამ წუთში ამ მზაობას ვერ ვხედავ. ამას სჭირდება ხალხის გამოსვლა ქუჩაში! ამას სჭირდება 1 კვირა მაინც დღისით 15 ათასი კაცი, ხოლო ღამით 2 ათასი კაცი. თუ ამ ტემპერატურას აწევს მოსახლეობა, სწორედ მოსახლეობამ უნდა აწიოს, რადგან ოპოზიცია და აქტივისტები ყველაფერს აკეთებენ. მეტი რა უნდა ქნან?! პიკეტირება იქნება, დაბოქლომება თუ ბოიკოტირება, ოპოზიცია ამ ყველაფერს აკეთებს და საკმაოდ ეფექტურადაც მუშაობს.

დანარჩენი უკვე ხალხის ნებაა, ხალხს თუ უნდა ცვლილებები, მაშინ უნდა გამოვიდეს ქუჩაში. სხვის ხარჯზე ეს ყველაფერი არ გამოვა, საჭიროა ქუჩაში დგომა.

ყველაფერი ხალხზეა დამოკიდებული, თუ არადა გაგრძელდება ეს დაპირისპირება და ქაოსი.

მირიან მირიანაშვილი: „უმრავლესობის დაშლა რუსების გაკეთებულია“

„ე.წ. დასავლური ოპოზიცია რიგგარეშე არჩევნების ვადებს მალავს“

მარიამ მჭედლიშვილი

საქართველოში პოლიტიკური ორომტრიალი გრძელდება. მმართველი პარტიის მიერ პროვოცირებული გადაწყვეტილებების შედეგად ქუჩაში გამოსული ერთმანეთს გადამტერებული პარტიები ბრძოლას აგრძელებენ. ზოგიერთი პოლიტიკოსი მოითხოვს რიგგარეშე არჩევნებს. რა კავშირი აქვს ვადამდელი არჩევნების ვადებს საგარეო ორიენტაციასთან? რა შემთხვევაში ხდება პარტიების ლუსტრაცია? აინტერესებს თუ არა ვინმეს უცხოეთში ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური მომავალი? – ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დეპუტატს, „საქართველოს გადარჩენის მოძრაობის“ ლიდერ **მირიან მირიანაშვილს**.

– წინა ინტერვიუში აღნიშნეთ, რომ რიგგარეშე არჩევნების თემა შეიძლება 90%-ით დახურულად ჩაითვალოს. მოვლენები დინამიკურად ვითარდება და დღეს როგორი სიტუაციაა?

– უკანასკნელ მოვლენებს რამე ნოვაცია არ მოუტანია. იგივე მოცემულობა გვაქვს. არჩევნები უნდა იყოს ახალი პოლიტიკური რეალობის შედეგი. ჯერ უნდა ჩამოყალიბდეს ახალი რეალობა და მერე გაიმართოს არჩევნები.

– ეს სიტუაცია არ გვაქვს?

– რასაკვირველია, არ გვაქვს. უახლეს ისტორიაში ჩატარდა 10-მდე საპარლამენტო არჩევნები. აქედან 4-ჯერ მოხდა ხელისუფლების გადაბარება. დანარჩენ შემთხვევაში არჩევნები ფორმალურ ხასიათს ატარებდა.

– ამჟამად ხელისუფლების ფარულად გადაბარების ნიშნები თუ იკვეთება?

– ნიშნები კი არა, წელიწად-ნახევარია, მიმდინარეობს ხელისუფლების გადაბარების სტრატეგიის რეალიზება. ეს არის რუსეთში შემუშავებული სტრატეგია, რომლის შემსრულებლები არიან საქართველოს ხელისუფლება და ოპოზიცია, რომელიც ვითომ დაპირისპირებულია ხელისუფლებასთან.

ჯერ კიდევ წელიწად-ნახევრის წინ რუსთაველზე იყო აქციები. ეს აქციები სხვა საკითხებს ეძღვნებოდა. ორგანიზატორებმა ამ მიზნებისთვის გამოიყენეს ჩვენი მოქალაქეების პირადი ტრაგედიები. ვადამდელი არჩევნების პროვოცირება რუსებს აქამდეც უნდოდათ, მაგრამ საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანეს.

– ახლანდელი საპროტესტო მოძრაობა უფრო მძაფრია?

– ამას თავისი ახსნა აქვს. რუსეთმა დააჩქარა მოქმედებები. კრემლის მოტივაცია აგებულია დასწრებაზე. რუსეთს საქართველოში ძალიან აშინებს 2020 წლის შემოდგომა და პარლამენტის არჩევნები. მათ იციან, რომ ამ დროისთვის ამერიკა ჩამოაყალიბებს თავის რეალობას. რუსებს ჰგონიათ, რომ ამერიკელების რენოვაციას ხელს შეუშლიან, თუ წინმსწრებად მოაწყობენ რიგგარეშე არჩევნებს და ერთ ძალას მეორით ჩაანაცვლებენ.

ამერიკული პოლიტელიტის გააქტიურება ჩვენში თვალშისაცემია. ასევე აშკარაა რუსეთის პოლიტტექნოლოგიური სქემები, რომლებსაც ქართველი პოლიტიკოსები ასრულებენ.

– ფართო საზოგადოებისთვის ეს თვალშისაცემი და აშკარა არ უნდა იყოს.

– ვინც ინფორმაციას ტელევიზიებიდან იღებს და მოკლებულია ანალიზს, იმისთვის, რასაკვირველია, არაფერი არ არის ცხადი. საკუთარ თავზე ლაპარაკი არ მინდა, მაგრამ ერთადერთი ადამიანი ვარ, რომელიც ბოლო წლებში განვმარტავდი, რა ხდება. რუსების ხისტი მოთხოვნით, წელიწად-ნახევრის წინ აიკრძალა ჩემი გამოჩენა ტელეეკრანებზე. დიდ არხებზე ისედაც აკრძალული ვიყავი.

– ამბობდით, რომ რუსეთის მიზანია, საქართველოში რიგგარეშე არჩევნები დაამთხვიოს იმ დროს, როცა ვაშინგტონს ამ არჩევნებისთვის არ ეცლება. ეს ამოცანა ისევ დგას დღის წესრიგში?

– მცირე დოზით, რიგგარეშე არჩევნების შესაძლებლობა ჯერ კიდევ არსებობს. აშშ-ში მიდის პრეზიდენტ ტრამპის საიმპიჩმენტო პროცესი. ის თავის პიკს მიაღწევს იანვრიდან გაზაფხულის დასაწყისამდე. რუსეთს საქართველოში ვადამდელი არჩევნები აწყობს სწორედ ამ პერიოდში. ამ დროს აშშ და მისი მეთვალყურეები ხელფეხშეკრულნი იქნებიან და არჩევნებს მონიტორინგს ვერ გაუწევენ. გაერთიანებული ოპოზიცია დროდადრო ითხოვს ვადამდელ არჩევნებს. ამ ოპოზიციაში არიან ღიად პრორუსული პარტიები, რომლებიც რუსეთიც გარეშე ასეთ მოძრაობაში არ ერთვებიან.

„ივანიშვილის ინტერვიუს შემდეგ დავრწმუნდი, რომ აშშ-ის საგარეო საქმიანობაზე მას წარმოდგენა არა აქვს“

– ქუჩაში ბევრი პარტია დგას.

– დავუშვათ, რომ დანარჩენები ჭეშმარიტად დასავლურები არიან. რიგგარეშე არჩევნების ვადებს ისინიც არ ასახელებენ. ეს ეჭვებს ბადებს დასავლელ ანალიტიკოსებში. თუ ე.წ. მედასავლეთე პარტიები რუსეთის მიერ დირიჟირებულები არ არიან, გამოვიდნენ და დაასახელონ თარიღი. როგორ შეიძლება, მოითხოვდე ვადამდელ არჩევნებს და ვადას არ ასახელებდე?!

– იანვრიდან გაზაფხულის დასაწყისამდე ვადა მიუღებელია. მისაღები თარიღი რომელი შეიძლება იყოს?

– მაის-ივნისი. ზამთარი და ადრეული გაზაფხული ჩვენთან სხვა პრობლემებსაც ინვევს. საქართველო მთიანი ქვეყანაა და დიდთოვლობა შეუძლებელს ხდის საარჩევნო კამპანიის ჩატარებას. მაისსა და ივნისში ნაკლები პრობლემაა.

ნურავინ იფიქრებს, რომ თუ რუსეთს ვადამდელი არჩევნების კომბინაცია გაუვიდა, ამერიკელები თავიანთ გეგმებზე უარს იტყვიან. ეს პოლიტიკური კრიზისი რუსეთის დირიჟირებით გამოიწვია ბიძინა ივანიშვილმა. მასში რუსეთის მითითებით მონაწილეობენ პოლიტიკური პარტიები.

ივანიშვილი ბოლო წელიწად-ნახევრის განმავლობაში ჭრიდა იმ ტოტს, რომელზეც იჯდა. როგორც ვატყობ, მისი პოლიტიკური ბედი გარეთ აღარავის აინტერესებს, პირველ რიგში, რუსებს. აშშ ამ პერიოდში აკავებდა რუსეთს და ამუხრუჭებდა კრიზისების განვითარებას საქართველოში. ამერიკულ ელიტას მობეზრდა ეს კომბინაციები და ივანიშვილის გადარჩენა. შეიძლება, მუხრუჭმა აღარ იმუშაოს.

– აშშ რუსეთის განდევნის გეგმაზე უარს არ იტყვის?

– რასაკვირველია. რუსეთის გასვლა საქართველოს პოლიტიკური სივრციდან გარდაუვალია. ხდება რუსეთის განდევნა ყველა სივრციდან, რელიგიური სფერო იქნება ეს თუ სპორტული. აქამდე სპორტში რუსეთი ნაწილობრივად იყო იზოლირებული. მომავალში ასე არ იქნება. 9 დეკემბერს ოლიმპიური კომიტეტის სხდომაზე გადაწყდება რუსეთის სრული იზოლაცია. როცა მსოფლიოში ასეთი ტენდენციებია, საქართველოში რუსეთს არავინ დატოვებს.

– ბიძინა ივანიშვილის ბოლო ინტერვიუდან რა დასკვნა გამოიტანეთ? მან აშშ-ზეც ისაუბრა.

– ამ ინტერვიუს შემდეგ დავრწმუნდი, რომ ბიძინა ივანიშვილს წარმოდგენა არა აქვს აშშ-ის საგარეო პოლიტიკის სტილზე, ტრადიციებსა და სტრატეგიაზე. მას ჰგონია, აშშ თავისი გავლენის რეალიზაციას ახორციელებს არასამთავრობო ორგანიზაციების მეშვეობით.

მმართველი პარტიის თავმჯდომარემ ისიც არ იცის, რომ ვაშინგტონი ტრილიონს ხარჯავს სადაზვერვო და თავდაცვით საქმიანობაზე. მისმა ნაამრევმა ამ საკითხებზე გამახსენა რუსეთის სახელმწიფო დუმის ოდიოზური და უვიცი დეპუტატების, მაგალითად, კალაშნიკოვის განცხადებები. ეს რომ მოვისმინე, მივხვდი, რატომ გვაქვს ასეთი ჩავარდნა საგარეო პოლიტიკაში.

– სხვა პასაჟებიც იყო საინტერესო მის ინტერვიუში?

– სხვა პასაჟები შენიღბული იყო. ამას არც აქვს მნიშვნელობა. როგორც ძველი რომაელები იტყოდნენ, „ვის აქვს აქედან სარგებელი?“ დღევანდელი კრიზისიდან ხეირობს რუსეთი.

– პარლამენტის უმრავლესობის დაშლა და ახალი ფრაქციის შექმნაც რუსეთის პოლიტტექნოლოგების ნაყოფია?

– ბუნებრივია. იმისთვის, რომ შეიქმნას გარემო რიგგარეშე არჩევნებისათვის, უნდა იყოს კრიზისული ვითარება. უმრავლესობის დაშლა შარშანვე იგეგმებოდა, მაგრამ რუსების დავალების პროცესი გაჩერდა.

ახალი ფრაქციების შექმნაც ამის თანმდევი პროცესია. ეს ხდება თვალსაჩინოებისთვის, რომ კრიზისი უფრო შთამბეჭდავი გახდეს. იმ პარტიებმა, რომლებიც მედასავლეთეებად გვევლინებიან, გააკეთონ განაცხადი ვადამდელ არჩევნებზე. ეს აინტერესებს საქართველოს საზოგადოებასაც და დასავლეთის ელიტასაც. ეს იქნება მათთვის ლაკმუსის ქაღალდი.

მალე გამოჩნდება, ვის უნდა რუსეთის პოლიტიკურ სისტემაში ჩარჩენა და ვის – ახალი ცივილიზებული პოლიტიკური მომავალი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ახალი თავმჯდომარე ნიკოლოზ მარსაგიშვილი გახდა

თბილისის საქალაქო სასამართლოს ახალი თავმჯდომარე ჰყავს. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, ნიკოლოზ მარსაგიშვილი თავმჯდომარის პოზიციას 5 წლის ვადით დაიკავებს.

აღნიშნული თანამდებობა ვაკანტური მას შემდეგ გახდა, რაც ვასილ მშვენიერაძე თბილისის სააპელაციო სასამართლოში დაინიშნა.

გარდა ამისა, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად სერგო მეთოფიშვილი, სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად კი ბიძინა სტურუა დაინიშნენ.

მიღებული გადაწყვეტილებები 2 დეკემბრიდან ამოქმედდება.

გია ბარამიძე: „ქართულ ოცნებას“ შერეული სისტემითაც დავამარცხებთ“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ჩაიბარა საქართველოს ეკონომიკა 16 მილიარდი დოლარით. ანუ მთელი 7 წლის განმავლობაში წინსვლის ნაცვლად ჩვენ მივიღეთ უკუსვლა. მაშინ, როცა ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლების დროს, რომელსაც ივანიშვილი გაუთავებლად ახსენებს, საქართველოს ეკონომიკა 4-ჯერ გაიზარდა. ბიუჯეტი კი – 11-ჯერ.

– შეაფასეთ ირაკლი კობახიძის განცხადება, რომ 100 დეპუტატი ითხოვს, რომ შეკრებილ 120 მანიფესტანტს პასუხი გასცეს ადეკვატური. ეს განცხადება როგორ გაიგეთ?

– არ ვიცი, რას გულისხმობენ ადეკვატურ პასუხში. მე რომ კაცმა მკითხოს, ადეკვატური პასუხი იქნებოდა ის, რომ გამოვიდნენ ივანიშვილის რეჟიმის მსახურობიდან და მონობიდან.

ივანიშვილი ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფები დააპირისპიროს ერთმანეთს და ამ დაპირისპირების ფონზე მღვრიე წყალში კვლავ თევზი დაიჭიროს.

გამოჩნდა, რომ ეს ადამიანი ყოვლად უზნეოა და ყველაფრის მკადრებელი ადამიანია. ასე უტიფრად გამოვიდა. ილაპარაკა, რომ თურმე ყველა დაპირება შეასრულა. როდესაც ყველამ ვიცით, რომ ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური პრობლემები იზრდება, უმუშევრობა იზრდება და ასევე ფასები და სიღარიბე, ლარის კურსი კი საშინელ მდგომარეობაშია. 1.65 იყო ჩვენ დროს, ახლა კი 3-მდეა ასული.

იზრდება კრიმინალი და კორუფცია და თვითონვე ვერ მალავენ ამას.

– ისიც გვითხრა, რომ ხელს შევუწყობთ, წავიდნენ ქართველები და სხვაგან ნახონ სამუშაო ადგილები, საქართველოში ამას ვერ ვაკეთებთო.

– დიახ, ამ ფონზე ამ უნამუსომ გამოაცხადა პროგრამა საქართველო ქართველების გარეშე. ის ცოტა ხნის წინ ყველას ჰპირდებოდა დასაქმებას და აყვავებულ საქართველოს. თურმე უნდა, რომ საქართველოს მოქალაქეები გააგზავნოს საქართველოს გარეთ.

– როცა ამბობთ, რომ ივანიშვილი ყველაფერზე მიდის, ოღონდ კი მღვრიე წყალში თევზი დაიჭიროს, ამ ფონზე თუ ხართ მზად ყველა სცენარისთვის, რომელიც შესაძლოა მან დაუდოს ოპოზიციას?

– ჩვენ ადეკვატური ადამიანები ვართ და ადეკვატურად ვიმოქმედებთ ნებისმიერ შემთხვევაში. ჩვენი მოქმედებების გზა და სტრატეგია არის მშვიდობიანი. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ პროცესები მშვიდობიანად წარიმართოს, მაგრამ თუ სხვა გზას აირჩევს ივანიშვილი დაწყებული ჩვენი დაჭერებით და გაგრძელებული სხვა მეთოდებით, ადეკვატურად შევხვდებით.

– დაჭერებსაც ელოდებით?

– რა თქმა უნდა.

ივანიშვილის ჯიბეში არსებული და მისი კონტროლის ქვეშ ერთადერთი, რაც არის, ეს არის საქართველოს პარლამენტი, მთავრობა, სასამართლო, პროკურატურა, ჯარი, პოლიცია და ეს ინსტრუმენტები. რა თქმა უნდა, აქვს წლების განმავლობაში ნაძარცვი ფულიც. ის შეეცდება, რომ რა ბერკეტები და ინსტრუმენტებიც ოპოზიციაზე აქვს, ისინი გამოიყენოს. მისი იარაღია დაჭერა, ხალხის დაპირისპირება, სუსი და ა. შ.

აბა სხვა რა აქვს? არგუმენტი და სიმართლე არ არის მისი იარაღი და პატიოსანი მოქმედებაც არ არის მისი იარაღი. რასაც თავს აჩვენებდა და წარმოაჩენდა თავს, როგორც პატიოსანი მოქალაქე, ქველმოქმედი და აღმშენებელი... ხალხმა დაინახა, რომ ეს ყველაფერი ბლეფი იყო და ის გაკოტრდა.

კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ ივანიშვილის ბოლო ინტერვიუ იყო უტიფრობის ზეიმი. ამდენი წლის შემდეგ კაცი გამოდის და ხალხს ეუბნება, საზღვარგარეთ გაგიშვებთო. წარმოიდგინეთ, თუნდაც დაპირების დონეზე სადამდე დავიდა ეს მართლა არქიფო სეთური. მაგას უნდა, რომ ქართველი ხალხი მისი მონები იყვნენ, მაგრამ ის არ იცნობს ქართველ საზოგადოებას და ის ამაში ძალიან მწარედ ცდება.

– ოპოზიცია საუბრობთ, რომ გაქვთ წინადადგმული ნაბიჯები და ხელისუფლებას უწევს ის, რომ უნდა შეიპაროს პარლამენტში და ა. შ. მაგრამ მე მაინტერესებს, რაში გაქვთ პროგრესი? რაში გამოიხატება ეს, მაშინ როდესაც, ისევ მყარად დგას ივანიშვილი, არ თმობს არაფერს და აქეთ იმუქრება? ამ ფონზე ოპტიმიზმის საფუძველს რა გაძლევთ?

– ის გვაძლევს, რაც ხდება ქვეყანაში. ივანიშვილს გამოაკლდა დეპუტატია და იძულებულები გახდნენ მისი აქტიური დამცველები, რომ გასულიყვნენ პარტიიდან. ივანიშვილის ქმედებებმა გააერთიანა მთელი ოპოზიცია, მიუხედავად საგარეო თუ საშინაო პოლიტიკის ორიენტაციისა. ეს არის უმძიმესი მდგომარეობა ხელისუფალისათვის.

უფრო და უფრო მეტი ადამიანი ხედავს ივანიშვილის ჭეშმარიტ სახეს. არსებობს სოციოლოგიური კვლევების მონაცემები და ჩანს ყველა ეს მონაცემი. კიდევ რით უნდა იყოს პოლიტიკური პროცესი გაანალიზებული და შეფასებული?! ისევე, როგორც დასავლეთის სახელმწიფოების მხრიდან ვხედავთ უფრო მწვავე შეფასებებს და პრეტენზიებს მთელი ამ ხნის განმავლობაში.

– ჩემს კითხვაში იმას ვგულისხმობ, რომ ძალაუფლება ისევ ხელში აქვს მყარად.

– მყარად რას ეძახით?

– იმას, რომ არაფერს არ თმობს და უკან არაფერზე არ იხევს.

– ჯერ არაფერს არ თმობს, თორემ მოუწევს. ასეც რომ იყოს და ასე მივიდეთ არჩევნებამდე, თუნდაც დღევანდელი სისტემით სასტიკად დამარცხდება ივანიშვილის რეჟიმი. შეიძლება თვითონ აღარ აწყობს, რომ სოციოლოგია მეცნიერებად ჩათვალოს და თუ ვინმე რამე კვლევას ატარებს, აღარავის აღარ ცნობს, მაგრამ ობიექტური რეალობა ხომ სულ სხვა რაღაცაა?!

ყველა გამოკვლევით, მისი რეჟიმის რეიტინგი ეცემა და ეცემა. ბოლო წლებს გადახედეთ და მუდმივად ეცემა მისი რეიტინგი, განსაკუთრებით კი ბოლო თვეების განმავლობაში. ეს არის ერთ-ერთი მთავარი ინდიკატორი. საზოგადოების მხარდაჭერა არის ერთ-ერთი ყველაზე მთავარი ინდიკატორი ხელისუფლების მყარად დგომისა და ამ საზოგადოების მხარდაჭერას გამუდმებით კარგავს.

ეს არის ჩვენი ამოცანა, როგორც ოპოზიციისა, რომ უფრო და უფრო მეტმა ადამიანმა დაინახოს ივანიშვილის რეჟიმის რეალური ჭეშმარიტი სახე. ეს არის ჩვენი მშვიდობიანი ბრძოლის საბოლოო ამოცანა.

ის აუცილებლად დამარცხდება არჩევნებზე. ივანიშვილის წილი დღეს 30%-ც აღარ არის. აქეთ არის ოპოზიცია, რომლის ჯამური წილიც 70-75%-ია. რაც უფრო მეტ ხანს გაგრძელდება ეს მძიმე მდგომარეობა და კიდევ გააჯანჯღლებს ვითარებას, როდესაც სიღარიბე, უმუშევრობა და ინფლაცია იზრდება, მით უფრო დაეცემა მათი რეიტინგი და, საბოლოო ჯამში, სრულ კრახს განიცდის.

„სკოლებიდან 6.200 მასწავლებელი ქუჩაში გაუშვეს“

გულიკო ბალაძე

ინფორმირებულია თუ არა პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილი საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაში არსებული მდგომარეობის შესახებ? აწვდიან თუ არა მას სწორ ინფორმაციას? რატომ შეიქმნა განათლების სისტემაში მასწავლებლების დეფიციტი, რომელზეც ბიძინა ივანიშვილმა ტელევიზიით ისაუბრა? – ამ საკითხებთან დაკავშირებით „ახალ თაობას“ განათლების ექსპერტი მანანა ნიკოლაიშვილი დაუკავშირდა.

ივანიშვილმა ბრძანა, რომ საქართველოში მასწავლებლების დეფიციტია. მასწავლებლების არანაირი დეფიციტი საქართველოში არ არის. მასწავლებლების დეფიციტი თუ არის, მისმა ხელისუფლებამ შექმნა, – განაცხადა **მანანა ნიკოლაიშვილმა.**

– ქალბატონო მანანა, ხელისუფლებამ მასწავლებლების დეფიციტი როგორ შექმნა?

– ამას ბევრი მიზეზი აქვს. ბიძინა ივანიშვილს გარემოცვაში ვინ ჰყავს, ვინც არასწორ ინფორმაციას აწვდის. მხოლოდ ზეპირ ინფორმაციას არ მიაწვდიდნენ, იქნებოდა წერილობითი ინფორმაციაც. ვინ მიაწოდა ივანიშვილს ის ინფორმაცია, რომ საქართველოში მასწავლებლების დეფიციტია.

საქართველოში მასწავლებლების დეფიციტი არ იყო, სანამ მისმა ვაირეფორმატორებმა, კონსტიტუციური და საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევით, მასწავლებლები ქუჩაში გაყარეს.

– რას გულისხმობთ? როგორც ვიცით, რეფორმა მაშინდელმა მინისტრმა ბატიაშვილმა დაიწყო და დიდი ხმაური იყო წარმატებულ რეფორმაზე.

– არ მინდა ახლა არც ბატიაშვილი და არც სხვა ვინმე, მინდა ბიძინა ივანიშვილს გავცე პასუხი. ეს არის დიდი ეროვნულ-პოლიტიკური საკითხი. ქვეყნის პირველი პირი, მმართველი პარტიის თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილი აცხადებს, რომ საქართველოში შექმნილია მასწავლებლების დეფიციტი. მე, მანანა ნიკოლაიშვილი, ბიძინა ივანიშვილს ვეუბნები, რომ საქართველოში მასწავლებლების არანაირი დეფიციტი არ იყო, სანამ მისმა ვაირეფორმატორებმა, საერთაშორისო სამართლისა და ჩვენი კონსტიტუციის საწინააღმდეგოდ, რაღაც ნაჯღაბნი დოკუმენტებით მასწავლებლები სკოლებიდან ხელოვნურად არ გაყარეს.

– რას ნიშნავს მასწავლებლების ხელოვნურად სკოლებიდან გაყრა?

– მასწავლებლები გაყარეს საერთაშორისო სამართლისა და ჩვენი კონსტიტუციის საწინააღმდეგოდ ვაიპრემიერის ბახტაძის ნაჯღაბნი დოკუმენტებით. 6.200 მასწავლებელი არის გაშვებული.

ახლა პერსონალურად ივანიშვილს მივმართავ – ძირითადად გაყარეს ჩამოყალიბებული, პროფესიონალი მასწავლებლები, რა თქმა უნდა, პენსიონერები, მაგრამ საკმაოდ ახალგაზრდები. 60 წელი რა არის, თვითონ 60 წელს არის გადაცილებული და ქვეყნის მართვაზე აქვს პრეტენზია, 60-61-62 და 65 წლის ასაკის მაგისტრი მასწავლებლებია გაყრილი. მათ ადგილზე სკოლებში ძირითადად შეიყვანეს არაპროფესიონალები და მაძიებლები.

რა არის ეს? უშვებ მაღალი კვალიფიკაციის მასწავლებელს და მის ადგილზე შემოგყავს არაპროფესიონალი, ისეთი, საერთოდ, რომ არ არის განათლებით პედაგოგი. ზოგი ნარკოტიკული თრობის ქვეშ ცხადდება სკოლაში. ზოგი – მთვრალი. ასეთი ინციდენტები უამრავია. გაკვეთილებს ვერ ატარებენ და გარბიან.

დარჩენილია ვაკანსიები. ახლა თქვენს გაზეთთან სრულიად სკანდალურ რაღაცას ვამბობ – განათლების სამინისტრომ გამოაცხადა, რომ 6.200 პენსიონერი მასწავლებელი გაათავისუფლა დაკავებული თანამდებობიდან, მაგრამ რამდენი მასწავლებელი მიიღეს და რამდენი ვაკანსია დარჩა, ამას არ აქვეყნებენ.

– რატომ არ უნდა აქვეყნებდნენ?

– არ აქვეყნებენ იმიტომ, რომ სახელმწიფო სტატისტიკას მალავენ. ვის აქვს მაგის უფლება, სტატისტიკა დამალოს? სტატისტიკას იმიტომ მალავენ, რომ უამრავი გაკვეთილი ცდება. არ შეიძლება მასწავლებლის ვაკანსია დარჩეს. თავს არიდებენ პასუხისმგებლობას. ივანიშვილის ხელისუფლება მალავს, რომ ათასი ვაკანსიაა დარჩენილი, ვერ შეავსეს.

რაც შეავსეს, მათი 90% არაპროფესიონალი მაძიებლებია. მათ ორი წელი უნდა იმუშაონ, მერე კი გამოცდა ჩააბარონ. ან ჩააბარებენ, ან – არა. ამ ფონზე, ივანიშვილი გამოდის ტელევიზიით და ამბობს, მასწავლებლების დეფიციტიაო. ვინ ჰყავს გარემოცვაში, რომ ასეთ ტყუილებს აწვდიან.

ამ მასწავლებლების ტრენინგებით, მათი გამოცდებით და კრედიტებით უდიდეს ფულს აკეთებენ. ეს კორუფციული ხვრელი კი არა, უზარმაზარი კორუფციული ორმოა. მოვუწოდებ, მოიშოროს ის ხალხი, ვინც მას ატყუებს და შეწყვიტონ მასწავლებლების გაყრა. თუ მასწავლებლები არ ჰყავდათ, რატომ უშვებდნენ. ასე გაგრძელება არ შეიძლება

– რასაც თქვენ მასწავლებელთა გაყრის თაობაზე აცხადებთ, პირველად გავიგე. ჩემთვის ცნობილი იყო, რომ ისინი თვითონ წერდნენ განცხადებას, რადგან თუ პენსიაში გავლენ, ორი წლის ხელფასს ერთად იღებენ. ჩემი ნათესავიცაა პენსიონერი მასწავლებელი. მისთვის არავის უთქვამს, წადიო.

– თქვენ არ ამახვილებთ ყურადღებას მთავარზე, რომ სახელმწიფო სტატისტიკას მალავენ. ერთი თქვენი ნათესავის მაგალითით რა განისაზღვრება? მერე რა, რომ თქვენი ნათესავი პენსიონერი მასწავლებელია.

– მას არ უთქვამს, რომ წასვლას აიძულებენ.

– მისთვის არ უთქვამთ, მაგრამ 6.200 მასწავლებელი გაუშვეს ვაი-ვაშით, რომელმაც მე დამირეკა. თვითმკვლელობებით აპირებენ სიცოცხლის დასრულებას.

ახლა დაიწყეს სამი საგნის გაერთიანება, სამი საგანი ერთმა მასწავლებელმა უნდა ასწავლოს. ამიტომ მასწავლებლები უნდა გადაამზადონ. ამას აკეთებს ივანიშვილის ხელისუფლება.

– რომელ საგნებზეა საუბარი?

– ეროვნული სკოლის მოდელი შემოიღეს და მასწავლებლებს სამ-სამი საგანი უნდა აათვისებინონ 2 თვეში, უნდა გადაამზადონ. შეიძლება გაგიჟდეს ადამიანი, ისეთ რაღაცებს აკეთებენ. საქართველოში პირველად დაფიქსირდა მასწავლებლის დეფიციტი. ახლა კიდევ აპირებენ ათასობით მასწავლებლის გაშვებას.

– თვითონ რატომ არ გამოდიან და რატომ არ ამბობენ, აქცია გამართონ, თუ ასეა და მიიქციონ ყურადღება.

– ვინ უნდა გამოვიდეს, მასწავლებელი არის აკადემიური სფეროს წარმომადგენელი. არ გამოდიან, სად არის მაგათი უფლებადამცველი ორგანიზაციები? არ არსებობს. საქართველოში ჯერ არ არის ის დონე, რომ მასწავლებელი ქუჩაში გამოვიდეს. ამიტომ უნდა გააგდო ის საცოდავი მასწავლებელი, რომ ვერ გამოდის?

– ქალბატონო მანანა, ივანიშვილმა ვინ ხალხი უნდა ჩამოიშოროს?

– ლომაიას მოყვანილი ხალხი. ყველა უნდა ჩამოაშოროს. მინისტრის ცვლილებები საქმეს არ შველის. ყველა უნდა გამოყაროს გარეთ სამინისტროდან და სიპები, საერთოდ, უნდა გააუქმოს. მასწავლებლის სახლიდან ყველა უნდა გაუშვას.

– ანუ ის გეგმები, რაც დღეს ხორციელდება, რაც თითქოსდა ყოფილი მინისტრის ბატიაშვილის რეფორმის ფარგლებში კეთდება, სიპების შემუშავებულია?

– არა, რა თქმა უნდა. მე არ ვიცი, „ქართულ ოცნებას“ ვინ უწერს და ვინ კარნახობს. დიდი ეჭვი მაქვს, რომ მსოფლიო ბანკია. მსოფლიო ბანკმა და სავალუტო ფონდმა ჩვენს ქვეყანაში ყველაფერი გაანადგურა, მათ შორის, განათლების სისტემა.

რატომ არ ვუშვებთ იმ კადრებს, რომელმაც წარუმატებელი რეფორმები ატარეს საკაშვილის დროს. ის კადრები ჰყავთ შენარჩუნებული დღესაც. მხოლოდ და მხოლოდ მინისტრები იცვლებიან კატასტროფული სისწრაფით. მინისტრებად მოჰყავთ არაპროფესიონალი ხალხი. მათზე უარესს ნიშნავენ მოადგილეებად.

– ბატიაშვილი არაპროფესიონალი იყო და იმიტომ წავიდა?

– ბატიაშვილზე საუბარი არ მაინტერესებს.

– ახალი მინისტრი მოგწონთ?

– არც ახალ მინისტრზე მაინტერესებს ლაპარაკი. მე მაინტერესებს განათლების პოლიტიკა. მინისტრი არ არის პოლიტიკის შემმუშავებელი. პოლიტიკას შეიმუშავებს მმართველი პარტია და ამტკიცებს პარლამენტი.

– მახსოვს, ბატიაშვილი რომ გამოვიდა ხმაურიანი რეფორმით, პარლამენტის კომიტეტის თავმჯდომარემ განაცხადა, რეფორმის შესახებ არაფერი ვიცოდიო.

– პარლამენტის კომიტეტის თავმჯდომარე ვინც იყო, რა პრინციპით დანიშნეს, რომელიც არ არის ჩვენი სისტემის თანამშრომელი.

– მარიამ ჯაში?

– დიახ. ის იყო ჯანდაცვის სფეროდან, ჩვენი კომიტეტის თავმჯდომარედ რატომ დანიშნეს? მანაც დატოვა პოსტი. სამარცხვინოა. განათლების კომიტეტს ყოველთვის ცნობილი მეცნიერები ედგნენ სათავეში. დღეს სკოლებში ასიათასობით საათი ცდება. ეს ურტყამს ჩვენი მომავალი თაობის განათლებას.

კახა წაველიძე პოლიციის მანქანის გატაცებაში დამნაშავედ ცნეს

„მანქანას პოლიციის მაღალჩინოსანი გიორგი პატიაშვილი მართავდა“

პოლიციის მანქანის გატაცებაში ბრალდებული კახა წაველიძე გორის რაიონულმა სასამართლომ დამნაშავედ ცნო.

გადაწყვეტილება მოსამართლე შალვა კაკაურიძემ 29 ნოემბერს მიიღო.

18 წლის ახალგაზრდა ყველა წარდგენილ ეპიზოდში გამტყუნდა. მას გამოძიება ძარცვას და ძარცვის მცდელობას ედავებოდა.

მოსამართლე სასჯელის ზომას 5 დეკემბერს გამოაცხადებს.

სანამ შალვა კაკაურიძე წაველიძეს განაჩენს გამოუტანდა, მსჯავრდებულმა პროცესზე სკანდალური განცხადება გააკეთა და თქვა, რომ მანქანას არა ის, არამედ პოლიციის მაღალჩინოსანი, გიორგი პატიაშვილი მართავდა.



დაცვის მხარე მოსამართლის გადაწყვეტილებას აპროტესტებს და საქმის გასაჩივრებას ადამიანის ევროპულ სასამართლოში აანონსებს.

– ვერ გაუძლო სასამართლომ შინაგან საქმეთა სამინისტროს წნეხს. არ დადგა ეჭვქვეშ გორის რაიონული სამმართველოს თანამშრომლების მიერ მოპოვებული მტკიცებულებები, არ მიექცა ყურადღება, რომ საქმეში სწორედ ამ სამმართველოს მაღალჩინოსანი ფიგურირებს და მისი მხრიდან დანაშაულის ნიშნებიც კი იკვეთება.

გარდა ამისა, არ იქნა გათვალისწინებული, რომ საქმე დაზარალებულმა გამოიძია. სამაგიეროდ, ვარაუდების საფუძველზე, ახალგაზრდა კაცი რამდენიმე წელს გაატარებს ციხეში, მაღალჩინოსანი პოლიციელი კი გააგრძელებს მუშაობას და სხვა ახალგაზრდებს გაუშვებს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, – განაცხადა წაველიძის ადვოკატმა ლექსო მერებაშვილმა.

პოლიციის მანქანა ცენტრალურ საავტომობილო მაგისტრალზე მიმდინარე წლის ივნისის თვეში ამოტრიალდა.

გამოძიება ამ დრომდე ამტკიცებს, რომ მანქანა პოლიციელ გიორგი პატიაშვილს არასრულწლოვანმა გასტაცა.

რუისთან ტრაილერი პიკაპს დაეჯახა

29 ნოემბერს ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა ცენტრალურ მაგისტრალზე.

სოფელ რუისთან ტრაილერი პიკაპის ავტომობილს შეეჯახა, შემთხვევაში ფიგურირებს „კიას“ მარკის მსუბუქი ავტომობილიც.

ადგილობრივები აცხადებენ, რომ პიკაპით სამართალდამცავები გადაადგილდებოდნენ, თუმცა ამ ფაქტს შსს არ ადასტურებს.

უწყებამ გამოძიება 276-ე მუხლის მეორე ნაწილით დაიწყო.

ავარიამ ცენტრალურ მაგისტრალზე მოძრაობა გაართულა და საცობი შექმნა.

სასამართლომ ირაკლი ოქრუაშვილი პატიმრობაში დატოვა

29 ნოემბერს, თავდაცვის ყოფილი მინისტრის, ბრალდებულ ირაკლი ოქრუაშვილის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა გადაისინჯა და ისევ ძალაში დარჩა.

ირაკლი ოქრუაშვილი სასამართლო პროცესზე კვლავ არ გამოცხადდა.

ოქრუაშვილის ადვოკატის, სულხან კომახიძის განცხადებით, მისი დაცვის ქვეშ მყოფის მხრიდან არც ახალი დანაშაულის ჩადენის, არც მიმალვის საფრთხე არ არსებობს.

საქმის პროკურორმა გიორგი მუკბანიანმა სასამართლო პროცესზე განაცხადა, რომ საქმეში ახალი არსებითი გარემოება არ გამოვლენილა.

სასამართლო სხდომა 6 დეკემბერს, 14:00 საათზე ჩაინიშნა.

„გამარჯვებული საქართველოს“ ლიდერი ირაკლი ოქრუაშვილი ჯგუფური ძალადობის ორგანიზების, ხელმძღვანელობისა და მასში მონაწილეობის ბრალდებით 25 ივლისს დააკავეს.

20 ივნისს პარლამენტთან მშვიდობიანი აქციის შემდეგ, მომიტინგეების ნაწილმა შენობაში შეჭრა სცადა. სპეცრაზმმა აქციის დაშლა დაიწყო და რამდენჯერმე გამოიყენა ცრემლმდენი გაზი, წყლის ჭავლი და რეზინის ტყვიები. შედეგად საავადმყოფოში გადაიყვანეს 240 ადამიანი, მათგან 80 სამართალდამცველი, 4 ადამიანს თვალი დაუზიანდა, ერთმა მოქალაქემ და ერთმა სამართალდამცველმა კი დაკარგა.

20-21 ივნისის აქციების საქმის გამოძიების დასრულებამდე შსს-ს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის უფროსს უფლებამოსილება შეუჩერდა.

ირაკლი ოქრუაშვილი აცხადებს, რომ „რუსთავი 2“-ის მესაკუთრეა. 18 ივლისს ბიზნესმენმა ქიბარ ხალვაშმა „რუსთავი 2“-ის გენერალურ დირექტორად პაატა სალია დანიშნა, რომელმაც ამ პოზიციაზე ნიკა გვარამია შეცვალა.

მანამდე სტრასბურის სასამართლომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების შემაჩერებელი მექანიზმი გააუქმა.

უაქციზო სიგარეტის შენახვა-გადაზიდვისთვის 4 პირი დააკავეს

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა მიმდინარე წლის ნოემბრის განვლილი პერიოდის განმავლობაში, მარკირებას დაქვემდებარებული განსაკუთრებით დიდი ოდენობით აქციზური საქონლის, აქციზური მარკის გარეშე შენახვა-გადაზიდვის 11 ფაქტი გამოავლინეს, რაზეც 4 პირი დააკავეს.

მათი ინფორმაციით, საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, თბილისში, სამეგრელოს, იმერეთის, აჭარისა და ქვემო ქართლის რეგიონებში, დანაშაულში მხილებული პირებისგან ამოღებულია სარეალიზაციოდ განკუთვნილი, სხვადასხვა დასახელების ჯამში 17.300 კოლოფი უაქციზო სიგარეტი.

ამოღებული უაქციზო სიგარეტის საერთო საბაზრო ღირებულება 68.000 ლარს აღემატება.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-200 მუხლის პირველი, მეორე და მესამე ნაწილებით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6-დან 8 წლამდე ვადით.

ერაყის პრემიერ-მინისტრი თანამდებობას ტოვებს

ერაყის პრემიერ-მინისტრ ადელ აბდულ მაჰდის თქმით, ის თანამდებობას ტოვებს.

პრემიერმა განცხადება მას შემდეგ გააკეთა, რაც 28 ნოემბერს მთავრობის ძალებმა 50-ზე მეტი შეუიარაღებელი დემონსტრანტი მოკლეს.

პრემიერი ერაყის უმაღლესმა შიიტმა ლიდერმა აიათოლა ალი ალ-სისტანიმაც გააკრიტიკა და მის რეჟიმს ტირანია უწოდა.

ერაყში ბოლო ორი თვის განმავლობაში გამართული საპროტესტო აქციების დროს სამთავრობო ძალებმა ასობით ადამიანი მოკლეს. 28 ნოემბერს მთავრობამ არმიის ნაწილი ქვეყნის სამხრეთით გადაისროლა, სადაც დემონსტრანტებმა ირანის საკონსულოს ცეცხლი წაუკიდეს.

მომიტინგეები ირანს მთავრობის მხარდაჭერაში ადანაშაულებენ.

ალბანეთში მიწისძვრის შედეგად გარდაცვლილთა რიცხვი 48-მდე გაიზარდა

ალბანეთში მიწისძვრის შედეგად გარდაცვლილთა რიცხვი 48-მდე გაიზარდა, დაშავებულია 790 ადამიანი.

ინფორმაციას ქვეყნის თავდაცვის სამინისტრო ავრცელებს.

გარდაცვლილთა შორისაა ქვეყნის პრემიერ-მინისტრ ედი რამას ოჯახის წევრიც.

ალბანეთში დამანგრეველი, 6,4 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა რამდენიმე დღის წინ მოხდა.

იაპონიის ყოფილი პრემიერი იასუჰირო ნაკასონე 101 წლის ასაკში გარდაიცვალა



იაპონიის ყოფილი პრემიერ-მინისტრი იასუჰირო ნაკასონე 101 წლის ასაკში გარდაიცვალა.

იასუჰირო ნაკასონე პრემიერ-მინისტრის თანამდებობას 1982-1987 წლებში იკავებდა. ის ცნობილია ბიუროკრატიის წინააღმდეგ ბრძოლითა და ქვეყანაში რადიკალური რეფორმების განხორციელებით.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ჩრდილოეთ კორეამ კიდევ ორი რაკეტა გაუშვა

ჩრდილოეთ კორეა რაკეტების გამოცდას განაგრძობს. ფხენიანმა მცირე სიშორის კიდევ ორი რაკეტა გაუშვა.

– მოვუწოდებ ჩვენს ჩრდილოკორეელ პარტნიორებს, ესკალაციას თავი დაანებონ, – განაცხადა იაპონიის პრემიერმა აბემ.

მსგავსი განცხადება სამხრეთ კორეის საგარეო საქმეთა სამინისტრომაც გააკეთა. მიუხედავად ამისა, კიმ ჩენ ინის რეჟიმი რაკეტების გამოცდას აგრძელებს.

სილამაზის დედოფალი მატარებელში სექსუალურ ზეწოლას განიცდიდა

დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელმა სილამაზის კონკურს „მის ინტერნაციონალი 2019“-ზე მის მიმართ განხორციელებულ სექსუალურ ზეწოლაზე ისაუბრა.

18 წლის არიოტ ლეინი ამტკიცებს, რომ 2017 წლის აგვისტოში ის პირველად წავიდა მარტო მატარებლით, რა დროსაც 55 წლის სტივენ კარტრაიტი მოსვენებას არ აძლევდა. მისი თქმით, გადატანილმა ზეწოლამ მასზე ნეგატიური ზემოქმედება მოახდინა, რის გამოც საზოგადოებრივ ადგილებში ყოფნის ეშინია.

2018 წლის 15 თებერვალს სტივენ კარტრაიტმა თავი დამნაშავედ ცნო ლეინთან მიმართებით, ორ ეპიზოდში. მას 250 საათი საზოგადოებრივი სამუშაოების შესრულება და 100 ფუნტი სტერლინგის გადახდა დაეკისრა.

ორი წლის შემდეგ კი დიდი ბრიტანეთის სილამაზის დედოფალმა შიშის დაძლევა მოახერხა და კონკურს „მის ინტერნაციონალი 2019“-ზე გაემგზავრა, რომელიც 12 ნოემბერს იაპონიაში გაიმართა. გოგონამ იქ მეხუთე ადგილი დაიკავა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მომვლელი ქალი ტახებმა სახლთან დაგლიჯეს

ამერიკის ტეხასის შტატის ქალაქ ანაუაკში მოხუცი წყვილის მომვლელი ქალი გარეული ღორების თავდასხმის შედეგად დაიღუპა.

59 წლის კრისტიმ როლინსი დაახლოებით ერთი წლის განმავლობაში უვლიდა ხანდაზმულ წყვილს. კვირას, 24 ნოემბერს, ქალი წყვილთან უნდა მისულიყო, მაგრამ დათქმულ დროს ადგილზე არ მისულა. მაშინ სახლის 84 წლის პატრონი ქუჩაში გამოვიდა და იქ მიწაზე მანქანასა და შესასვლელ კარს შორის დაგდებული როლინსი შენიშნა.

ჩამბერსის ოლქის შერიფმა ბრაიან ჰოუტორნმა განაცხადა, რომ, სავარაუდოდ, ქალი მანქანიდან გადმოვიდა, კარი ჩაკეტა და სახლის შესასვლელისკენ გაემართა, როდესაც მას რამდენიმე ტახი თავს დაესხა.

დაღუპული ქალის სხეულზე აღმოჩენილია მრავლობითი დაზიანებები, რომლებიც გარეული ღორების თავდასხმისთვის არის დამახასიათებელი. გაკვეთამ დაადასტურა, რომ ქალის დაღუპვის მიზეზი გარეული ღორების თავდასხმის შედეგად მიყენებული დაზიანებების გამო დიდი რაოდენობით სისხლის დაკარგვა გახდა.

შერიფის თქმით, გარეული ღორების თავდასხმის შედეგად ადამიანის დაღუპვა მეტად იშვიათია. აშშ-ში ასეთი მხოლოდ ექვსი შემთხვევაა დაფიქსირებული.

აღსანიშნავია, რომ შტატის მცხოვრებლებმა რამდენიმეჯერ მიმართეს საჩივრით პოლიციას, რომ გარეული ღორები, რომლებიც ჯოგებად გადაადგილდებიან, მათ კარ-მიდამოს ანადგურებენ.

შერიფის თანაშემწეებმა თუნდაც ერთი ტახის დასაჭერად რამდენიმე ხაფანგიც კი დადგეს, თუმცა ჯერჯერობით უშედეგოდ.

ეროტიკულმა კალენდარმა შიშველი სტუდენტებითა და ბატკნებით ვეგეტარიანელები გააღიზიანა

ვეგეტარიანელებმა ბრიტანეთის ვეტერინარული კოლეჯის სტუდენტები, რომლებმა შიშველებმა გადაიღეს ფოტოსურათი საქველმოქმედო კალენდრისთვის, შეურაცხმყოფელი კომენტარებით აავსეს.

ნოემბრის დასაწყისში ლონდონის სამეფო ვეტერინარულმა კოლეჯმა გამოაცხადა კალენდრის გამოშვების თაობაზე, რომელზეც სტუდენტი გოგონები და ბიჭები არიან აღბეჭდილნი. ნავარაუდევი იყო, რომ მისი გაყიდვიდან მიღებული მოგება საქველმოქმედო მიზნებს მოხმარდებოდა.

კალენდარმა ვეტერინარი ვეგეტარიანელების ყურადღება მიიპყრო. ისინი გააბრაზა ფოტოსურათმა, რომელზეც სტუდენტებს სასქესო ორგანოებზე ბატკნები ჰყავთ აფარებული. ვეგეტარიანელებმა აღნიშნული კადრი ცხოველების აბუჩად აგდებად მიიჩნიეს.

ფოტოსურათის ფეისბუქში კოლეჯის გვერდზე გამოქვეყნების შემდეგ მასზე ასახული სტუდენტების მისამართით შეურაცხმყოფელი და მუქარის შემცველი კომენტარების ნიაღვარი წამოვიდა. ამ ყოველივეს გამო საქმეში ჩარევა კოლეჯის დირექტორ სტიუარტ რეიდს მოუხდა. მან განაცხადა, რომ კალენდრიდან მოაშორებენ იმ სურათს, რომელზეც სტუდენტები ცხოველებთან ერთად არიან აღბეჭდილი და ყველას, ვინც აღნიშნულმა ფოტომ აღაშფოთა, ბოდიში მოუხადა.

მრავალშვილიანმა მამამ 105 მილიონი მოიგო

ინგლისის დასავლეთ სასექსის საგრაფოს სოფელ სელსის მკვიდრმა ლატარიაში 105 მილიონი ფუნტი სტერლინგი მოიგო და გადაწყვიტა, თანასოფლელებს დაეხმაროს.

42 წლის სტივ ტომსონი ამტკიცებს, რომ ბოლო 25 წლის განმავლობაში რეგულარულად თამაშობდა ლატარიას. 19 ნოემბერს მისმა ბილეთმა რიცხვების კომბინაციით 08-10-15-30-42-04-06 ეროვნული ლატარიის ისტორიაში სიდიდით მეხუთე მოგება მოუტანა.

– როდესაც მოგების შესახებ შევიტყვე, ერთიანად ავკანკალდი. მესმოდა, რომ უდიდესი ჯეკპოტი მოვხვენი და დავიბენი. არ ვიცოდი, რა გამეკეთებინა, – აღიარა ლატარიის გამარჯვებულმა.

– ჩემს სატვირთოში ჩავჯექი, შემდეგ სახლში დავბრუნდი, მინდოდა, მეზობლებს შევხმიანებოდი, შემდეგ ისევ მანქანასთან დავბრუნდი, – იხსენებს ტომსონი, – ვფიქრობ, გულის შეტევის ზღვარზე ვიმყოფებოდი.

თვითდასაქმებულმა მშენებელმა მოგების შესახებ თავის 41 წლის მეუღლე ლინკესა და მშობლებს უთხრა, რომლებმაც მოგების დადასტურება მოსთხოვეს.

თავდაპირველად მეუღლეს ეგონა, რომ ქმარმა 105 ათასი ფუნტი მოიგო და შესთავაზა, მოგებული თანხით საშობაო მოგზაურობა მოეწყოთ. სტივს კი სურს, რომ საშობაოდ არა მხოლოდ საკუთარი ოჯახი, არამედ მშობლიური სოფლის მცხოვრებლებიც გააბედნიეროს.

– შევეცდები, გულუხვი, მაგრამ, ამავე დროს, გონიერიც ვიყო. იმდენი ფული გამიჩნდა, რომ მინდა, გარშემომყოფთ ბედნიერება მივანიჭო, – აღნიშნა მამაკაცმა, – მე პატარა სოფელში ვცხოვრობ, საიდანაც წასვლას არ ვაპირებ. ამ სოფლისთვის გავაკეთებ ყველაფერს, რაც კი შემეძლება.

ტომსონებს საკუთარ სოფელშივე უფრო დიდ სახლში გადასვლა სურთ. სამი შვილის მამამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მუშაობისთვის თავის დანებებას არ აპირებს და ყველა თავისი კლიენტი გააფრთხილა, რომ მათ შეკვეთებს დათქმულ დროში შეასრულებს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52

განცხადებები

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

ბარსელონა მადრიდში ჩადის

სტატისტიკა, ფსონები

ევროპაში თითქოს მშვიდი ტურია, მაგრამ მიძინებული „ვულკანი“ „ვანდა მეტროპოლიტანოზე“ გაიღვიძებს, სადაც ატლეტიკო ბარსელონას დაუხვდება. ეს მატჩი კვირის მატჩია.

ინგლისი

30.11 ნიუკასლი-სიტი	15.00	7.30	1.19
30.11 ბარნლი-კრ.პალასი	2.38	3.20	3.20
30.11 ტოტენჰემი-ბორნმუთი	1.41	5.20	7.00
30.11 ლივერპული-ბრაიტონი	1.23	6.50	12.50
30.11 ჩელსი-ვესტ ჰემი	1.33	5.50	9.00
30.11 საუთჰემპტონი-უოტფორდი	2.20	3.40	3.40
01.12 ვულვზი-შეფილდი	1.95	3.40	4.20
01.12 ნორვიჩი-არსენალი	3.85	4.10	1.83
01.12 მანჩესტერი-ასტონ ვილა	1.50	4.25	6.80

სატურნირო ცხრილი:

1.ლივერპული	13	12	1	0	30-11	37
2.ლესტერი	13	9	2	2	31-8	29
3.სიტი	13	9	1	3	37-14	28
4.ჩელსი	13	8	2	3	28-19	26
5.ვულვზი	13	4	7	2	18-16	19
6.შეფილდი	13	4	6	3	16-12	18
7.ბარნლი	13	5	3	5	20-18	18
8.არსენალი	13	4	6	3	18-19	18
9.მანჩესტერი	13	4	5	4	18-15	17
10.ტოტენჰემი	13	4	5	4	21-19	17
11.ბორნმუთი	13	4	4	5	16-17	16
12.ბრაიტონი	13	4	3	6	15-19	15
13.კრ.პალასი	13	4	3	6	11-18	15
14.ნიუკასლი	13	4	3	6	11-20	15
15.ასტონ ვილა	13	4	2	7	19-20	14
16.ევერტონი	13	4	2	7	13-20	14
17.ვესტ ჰემი	13	3	4	6	16-23	13
18.ნორვიჩი	13	3	1	9	13-28	10
19.საუთჰემპტონი	13	2	3	8	13-31	9
20.უოტფორდი	13	1	5	7	8-26	8

გერმანია

30.11 ჰოფენჰაიმი-ფორტუნა	1.73	3.90	4.70
30.11 ჰერტა-დორტმუნდი	4.00	3.70	1.88
30.11 კიოლნი-აუგსბურგი	1.99	3.70	3.70
30.11 პადერბორნი-ლაიფციგი	7.00	5.20	1.41
30.11 ბაიერნი-ლევერკუზენი	1.31	5.80	9.00
01.12 გლადბახი-ფრაიბურგი	1.59	4.25	5.40
01.12 ვოლფსბურგი-ვერდერი	2.22	3.60	3.15
02.12 მაინცი-აინტრახტი	2.85	3.60	2.40

სატურნირო ცხრილი:

1.გლადბახი	12	8	1	3	24-13	25
2.ლაიფციგი	12	7	3	2	33-13	24
3.ბაიერნი	12	7	3	2	33-16	24
4.ფრაიბურგი	12	6	4	2	21-13	22
5.შალკე	12	6	4	2	22-15	22
6.დორტმუნდი	12	5	5	2	26-18	20
7.ვოლფსბურგი	12	5	5	2	13-10	20
8.ჰოფენჰაიმი	12	6	2	4	17-19	20
9.ლევერკუზენი	12	5	4	3	18-16	19
10.აინტრახტი	12	5	2	5	21-18	17
11.უნიონი	12	5	1	6	15-17	16
12.აუგსბურგი	12	3	4	5	17-24	13
13.მაინცი	12	4	0	8	17-31	12
14.ვერდერი	12	2	5	5	19-26	11
15.ჰერტა	12	3	2	7	17-25	11
16.ფორტუნა	12	3	2	7	15-23	11
17.კიოლნი	12	2	1	9	11-27	7
18.პადერბორნი	12	1	2	9	14-29	5

ესპანეთი

30.11 ალავესი-რეალი	6.00	4.20	1.56
30.11 სოსიედადი-ეიბარი	1.75	3.65	4.90
30.11 მალიორკა-ბეტისი	2.70	3.25	2.70
30.11 ვალენსია-ვილიარეალი	2.48	3.40	2.85
01.12 სევილია-ლეგანესი	1.56	4.00	6.50
01.12 ბილბაო-გრანადა	1.75	3.35	5.75
01.12 ესპანიოლი-ოსასუნა	2.30	3.20	3.30
01.12 ხეტაფე-ლევანტე	1.73	3.65	5.20
01.12 ატლეტიკო-ბარსელონა	2.80	3.20	2.67

სატურნირო ცხრილი:

1.ბარსელონა	13	9	1	3	35-16	28
2.რეალი	13	8	4	1	28-10	28
3.სევილია	14	8	3	3	18-14	27
4.ატლეტიკო	14	6	7	1	16-9	25
5.ბილბაო	14	5	5	4	15-9	23
6.სოსიედადი	14	7	2	5	22-17	23
7.ხეტაფე	14	5	6	3	19-16	21
8.გრანადა	14	6	3	5	20-18	21
9.ვალენსია	14	5	5	4	20-20	20
10.ოსასუნა	14	4	7	3	17-15	19
11.ვილიარეალი	14	5	3	6	27-22	18
12.ალავესი	14	5	3	6	16-18	18
13.ლევანტე	13	5	2	6	16-16	17
14.ვალიადოლიდი	14	4	5	5	14-18	17
15.ბეტისი	14	4	4	6	17-24	16
16.ეიბარი	14	4	3	7	14-23	15
17.მალიორკა	14	4	2	8	13-22	14
18.სელტა	14	3	3	8	10-20	12
19.ესპანიოლი	14	2	3	9	8-24	9
20.ლეგანესი	14	1	3	10	8-24	6

იტალია

30.11 ბრეშა-ატალანტა	6.20	4.40	1.52
30.11 ჯენოა-ტორინო	2.48	3.25	3.00
30.11 ფიორენტინა-ლეჩე	1.47	4.50	7.00
01.12 იუვენტუსი-სასუოლო	1.25	6.30	12.00
01.12 პარმა-მილანი	3.50	3.30	2.18
01.12 ლაციო-უდინეზე	1.34	5.20	9.30
01.12 ინტერი-სპალი	1.30	5.50	11.00
01.12 ნაპოლი-ბოლონია	1.50	4.30	6.60
01.12 ვერონა-რომა	4.10	3.45	1.93
02.12 კალიარი-სამპდორია	2.20	3.30	3.50

სატურნირო ცხრილი:

1.იუვენტუსი	13	11	2	0	23-10	35
2.ინტერი	13	11	1	1	29-12	34
3.ლაციო	13	8	3	2	30-14	27
4.კალიარი	13	7	4	2	25-14	25
5.რომა	13	7	4	2	23-14	25
6.ატალანტა	13	6	4	3	31-21	22
7.ნაპოლი	13	5	5	3	22-16	20
8.პარმა	13	5	3	5	20-17	18
9.ვერონა	13	5	3	5	11-11	18
10.ფიორენტინა	13	4	4	5	18-20	16
11.ტორინო	13	4	2	7	15-20	14
12.მილანი	13	4	2	7	12-17	14
13.უდინეზე	13	4	2	7	9-20	14
14.სასუოლო	12	4	1	7	22-23	13
15.ბოლონია	13	3	4	6	18-22	13
16.სამპდორია	13	3	3	7	9-20	12
17.ლეჩე	13	2	5	6	17-27	11
18.ჯენოა	13	2	4	7	15-27	10
19.სპალი	13	2	3	8	8-19	9
20.ბრეშა	12	2	1	9	10-23	7

საფრანგეთი

30.11 სტრასბური-ლიონი	2.75	3.20	2.70
30.11 რეიმსი-ბორდო	2.10	3.10	4.05
30.11 ლილი-დიჟონი	1.56	3.90	6.70
30.11 ნიმი-მეცი	2.06	3.25	3.90
30.11 მონპელიე-ამიენი	1.84	3.35	4.90
30.11 ნიცა-ანჟე	2.65	3.05	2.95
01.12 ნანტი-ტულუზა	1.81	3.55	4.65
01.12 რენი-სტ.ეტიენი	2.04	3.30	3.90
01.12 მონაკო-პსჟ	5.60	4.80	1.52

სატურნირო ცხრილი:

1.პსჟ	14	11	0	3	30-8	33
2.მარსელი	14	7	4	3	18-11	25
3.ანჟე	14	7	3	4	18-16	24
4.ბორდო	14	6	4	4	20-16	22
5.სტ.ეტიენი	14	6	4	4	15-17	22
6.მონპელიე	14	5	5	4	14-10	20
7.რეიმსი	14	5	5	4	10-7	20
8.ნანტი	14	6	2	5	12-13	20
9.ლიონი	14	5	4	5	22-14	19
10.ლილი	14	5	4	5	18-15	19
11.რენი	13	5	3	5	17-15	18
12.სტრასბური	14	5	3	6	15-14	18
13.მონაკო	14	5	3	6	21-24	18
14.ბრესტი	14	4	6	4	15-17	18
15.ნიცა	14	5	2	7	17-21	17
16.ამიენი	14	4	4	6	17-24	16
17.დიჟონი	14	4	3	7	9-15	15
18.მეცი	14	3	5	6	12-19	14
19.ტულუზა	14	3	3	8	15-27	12
20.ნიმი	13	2	5	6	11-17	11

მოამზადა მიხეილ ყორჟოლიანმა

ლატარიის გამარჯვებულმა ფული მეძავებს დაახარჯა, ბავშვები დახოცა და თავი მოიკლა

ინგლისის ლესტერშირის საგრაფოს ქალაქ ჰინკლიში ლატარიის გამარჯვებულმა მოგებული თანხა მეძავებსა და მანქანაში გაანიავა, რის შემდეგაც თავს დაესხა მეუღლეს, ორი შვილი მოკლა და თავი მოიკლა.

25 ნოემბერს სალი სტოუკსმა საქმის სასამართლო მოსმენაზე მოყვა, თუ როგორ ჩაიდინა უამრავი დანაშაული მისმა მეუღლე დევიდმა 2016 წლის 2 ნოემბერს. მისი თქმით, ყველაფერი ერთი დღით ადრე დაიწყო. მან ქმრის ტელეფონში, რომელიც სამზარეულოში დარჩა, უცნაური შეტყობინება ნახა.

– მან შეუკვეთა მეძავები, ასევე ვნახე მისი შეკვეთები ე.წ. პრეპარატებზე პაემანზე გასაუპატიურებლად, – აღნიშნა ქალმა.

სალიმ გაარკვია, რომ მეუღლე მუდმივად ხარჯავდა ფულს მეძავებზე, თუმცა გამუდმებით ამტკიცებდა, რომ ოჯახს საიმისო თანხა არ ჰქონდა, რომ შვილი სკოლაში გაეშვათ. მხოლოდ გამოძიების დროს გაირკვა, რომ დევიდ სტოუკსმა ლატარიაში 40 ათასი ფუნტი სტერლინგი მოიგო და ოჯახისგან ფარულად ის მანქანის შეძენასა და მეძავებში დახარჯა.

ქალმა ამ ყველაფრის შესახებ მეუღლის ძმასა და მამას უამბო, შემდეგ ქმარს დაურეკა და გააფრთხილა, რომ პოლიციაში წასვლას აპირებდა.

სახლში დაბრუნებულ სალის მეუღლემ პატიება სთხოვა და სიყვარულს ეფიცებოდა. მისი მტკიცებით, დევიდი აგრესიულობას არ ამჟღავნებდა და მშვიდად იქცეოდა. იმავე საღამოს ქალი ოჯახის სხვა წევრებთან სალაპარაკოდ წავიდა, სახლში კი მეუღლე ორ ბავშვთან – ადამთან და მეთიუსთან ერთად დატოვა. როდესაც დაბრუნდა, ქმარი სამზარეულოში იყო. მან ჩაის დალევა შესთავაზა, ის კი მეორე სართულზე ავიდა ტანსაცმლის გამოსაცვლელად.

– ვერ შევნიშნე, რომ უკან გამომყვა, თავში ჩამარტყა და ჩემი ბალიშით გაგუდვა ცადა. წინააღმდეგობას ვუწევდი და საშველად ადამს ვუხმობდი, ვინაიდან ვფიქრობდი, რომ მხოლოდ ის შეძლებდა ჩემს დახმარებას, – იხსენებს ქალი, – შეკითხვაზე: „სად არიან ადამი და მეთიუ?“ მან მიპასუხა, რომ მათზე ზრუნავენ.

ქმარი შეეცადა, ცოლისთვის ხელ-ფეხი შეეკრა, მაგრამ ქალმა თავის გათავისუფლება და სახლიდან გაქცევა მოახერხა, მაგრამ დევიდი დაეწია და ისევ სახლში შეათრია.

როდესაც ადგილზე პოლიცია მივიდა, დევიდმა დანა აიღო და ამტკიცებდა, რომ პისტოლეტიც ჰქონდა. შემდეგ მან ცოლს დანა გვერდში ჩაარტყა. ამის შემდეგ ქალმა ისევ მოახერხა ქუჩაში გაქცევა. პოლიციელებმა ის საავადმყოფოში გადაიყვანეს.

ქალმა მეორე დღეს შეიტყო, რომ ქმარმა შვილები, ადამი და მეთიუ დახოცა, შემდეგ კი სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. სახლში შესულმა სამართალდამცავებმა დახოცილი ბავშვები აღმოაჩინეს, შემდეგ დევიდის ცხედარსაც მიაგნეს, რომელმაც თავის მოკვლამდე წერილი დატოვა. ის მასში ბავშვების დახოცვას აღიარებდა, მათ სიყვარულში უტყდებოდა და ჩადენილს ინანიებდა.

„წლის მასწავლებელმა“ მოსწავლესთან რომანი გააბა და ციხეში აღმოჩნდა

ამერიკის ტეხასის შტატის ქალაქ რაუნდ-როკში სკოლის მასწავლებელს მოსწავლესთან უღირსი ქმედება დასდეს ბრალად.

36 წლის რანდი ჩავერია 26 ნოემბერს დააპატიმრეს მეორე ხარისხის დანაშაულის ჩადენის ბრალდებით. მას 20 წლამდე პატიმრობა ემუქრება. საქმის გამოძიება მიმდინარეობს. მასწავლებელს უკვე ჩამოერთვა პედაგოგიური საქმიანობის უფლება. ის დაპატიმრებულია და უილიამსონის საოლქო საპატიმროში იმყოფება.

სავარაუდოდ, მან რომანი გააბა მოსწავლესთან და ეს მისთვის „საშუალო სკოლის წლის მასწავლებლის“ წოდების მინიჭებიდან წელიწად-ნახევარში ჩაიდინა. საკუთარი დაჯილდოების დროს მან განაცხადა: „იმედი მაქვს, რომ ჩემი კლასის დასრულების შემდეგ მოსწავლეები სარგებლობას მოუტანენ საზოგადოებას და გარშემომყოფთ ცხოვრებას გაულამაზებენ“.

ებრაელი ზვიგენის თავდასხმას გადაურჩა



ისრაელის ქალაქ ცფატის მცხოვრებმა მამაკაცმა ზვიგენის თავდასხმა გადაიტანა და ცოცხალი გადარჩა.

22 ნოემბერს ჰანან შაული მეგობრებთან ერთად ქალაქ ჰადერის პლაჟზე გაემგზავრა წყალქვეშ ცურვისთვის. მამაკაცი წყალქვეშ თევზების ცქერით ტკბებოდა, როდესაც იგრძნო, რომ ფეხზე მორგებულ საცურაო ფარფლში ზვიგენმა სტაცა პირი.

– ის ძალიან ძლიერი იყო. საბედნიეროდ, მხოლოდ ფარფლის ნაწილის მოკვნეტა მოახერხა და ამით დასრულდა ყველაფერი, – განაცხადა მამაკაცმა, – თუმცა შედეგი, შესაძლოა, უფრო მძიმეც ყოფილიყო.

ისრაელის ბუნებისა და პარკების სამმართველო მოსახლეობას აფრთხილებდა, რომ ელექტროსადგურის სიახლოვეს ცურვა სახიფათოა, ვინაიდან ამ დროიდან აპრილის ჩათვლით ამ რაიონში ზვიგენებთან შეხვედრის ალბათობა მნიშვნელოვნად იმატებს. მიუხედავად ასეთი აკრძალვისა, შაული სწორედ იმ ადგილებში წავიდა საცურაოდ.

– უკიდურესად აუცილებელია უსაფრთხოების წესების დაცვა, – აღიარა ებრაელმა ცურვის მოყვარულმა, – შესაძლოა, ყველაფერი საბედისწეროდ დასრულებულიყო.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მოდელი საზოგადოებაში გამჭვირვალე კომბინეზონით გამოჩნდა

ბრიტანელი მოდელი, ინფლიუენსერი და სერფერი ლიუსი დონლანი The Beauty Awards-ის პრემიის გადაცემაზე გამჭვირვალე კომბინეზონში გამოწყობილი მივიდა.

21 წლის გოგონას თეთრი კომბინეზონი ეცვა, რომელიც ყვავილების მაქმანებით იყო დამშვენებული, მის ქვეშ კი – კანის ფერი საცვლები. ამ ყოველივეს თეთრი Mosshino-ს ხელჩანთა შეუხამა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა



პროფესიონალ ფოტოკორესპონდენტს, საკავშირო ჟურნალისტთა კავშირის წევრს

ლერი სერაპიონის ძე შენგელიას

დაბადებიდან 85 წლისთავის იუბილეს ულოცავენ კოლეგები, ნათესავები, მეგობრები და უსურვებენ ბედნიერებასა და ხანგრძლივ სიცოცხლეს.

ნონა ქობალია, ჯულიეტა მირცხულავა, ნაპო მესხია, ჯემალ შონია, რაჟდენ ქარდავა

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. სახარატო ჩარხის ნაწილი, რომელშიც საჭრისი მაგრდება; 2. ხეობა, ნაკრძალი აჭარაში; 3. ცნობილი მექსიკელი მხატვარი; 4. ხორცის პროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა; 5. ციხე-სიმაგრე ალგეთის ხეობაში; 8. ფრანგი კომპოზიტორი, ჭადრაკის თეორეტიკოსი; 12. კახეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 13. ბუნებრივი ნაკრძალი მცხეთა-მთიანეთში; 14. რუმინელი კომპოზიტორი; 16. ორგზის მსოფლიო ჩემპიონი ბრაზილიელი ფეხბურთელი; 18. უკრაინული სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 20. ზუთხისებრთა ოჯახის თევზი.

თარაზულად: 6. იაპონიაში განთავსებული მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ატომური ელექტროსადგური; 7. ანგარიშსწორების ერთ-ერთი ფორმა საგარეო ვაჭრობაში; 8. არაბი გლეხი; 9. კახეთის სამეფოს დედაქალაქი; 10. „კლდის ვეფხვად“ წოდებული ქართველი ალპინისტი; 11. დანადგარი, სადაც ხორციელდება ატომგულის გაყოფის ჯაჭვური რეაქცია; 15. იტალიელი კინოვარსკვლავი მამაკაცი; 17. არგენტინის ნაკრებისა და „იუვენტუსის“ ფეხბურთელი; 19. ბრიტანელი პოლიციელი; 21. აფრიკაში მზარდი გიგანტური ხე; 22. მეფედ კურთხევის საზეიმო ცერემონიალი; 23. ზაქარია ფალიაშვილის ოპერა.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ექსტაზი; 2. რენძიუ; 3. კომპლექსი; 4. შურთხი; 5. მალპენსა; 7. არქი; 11. ლენტეხი; 13. აჯამეთი; 15. გრევი; 16. ფერმა; 18. ნალმი; 19. იუდეა.

თარაზულად: 6. ქრთამი; 8. გეოლოგი; 9. მარსელო; 10. არქიელი; 12. ტურნე; 14. დილანი; 17. სტაგნაცია; 20. ღვეზელი; 21. გვარლი; 22. მეტეხი; 23. რადამესი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. გობსეკი; 2. ჯაბადარი; 3. დასინი; 4. ვაფლი; 5. ყარაყუმი; 8. დინამიკა; 12. როჭო; 13. არლეკინო; 14. მცხეთა; 16. მანიანი; 18. ტოსკა; 20. არნო.

თარაზულად: 6. ფონოთეკა; 7. ავადჰარა; 8. დაბაღი; 9. ბეილი; 10. გალენიტი; 11. გემრიელი; 15. ტრუსკავეკი; 17. ჯოყოლა; 19. თურაშაული; 21. ფილიპსი; 22. კონტრალტო; 23. გოდერძი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

30 ნოემბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.9695

ევრო — 3.2676

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.8292

100 რუსული რუბლი — 4.6400

ამინდის პროგნოზი 30 ნოემბერი



3 დეკემბრიდან

წიგნი I

რჩეული საბავშვო მოთხრობები

(ორ წიგნად)

რჩეული მოთხრობების ორტომეული მოიცავს ქართველი მწერლების საბავშვო ნაწარმოებებს. წიგნში შესულია 46 ავტორის 184 ნაწარმოები. ტექსტს ყველგან ახლავს რუბრიკა „სიტყვის არსი“, რომელშიც ლექსიკონის სახით განმარტებულია ყმაწვილებისათვის უცნობი, გაუგებარი ან ნაკლებად გასაგები სიტყვები და ფრაზები.

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

სვეტიცხოველში წმინდა გიორგისა და წმინდა თევდორეს გამოსახულებები აღმოაჩინეს

ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ქართულ ტაძარში – სვეტიცხოველში ქართული რელიეფისთვის უმნიშვნელოვანესი ახალი აღმოჩენა გაკეთდა.

ინფორმაცია ქეთი დიღმელაშვილმა გაავრცელა:

– სვეტიცხოვლის კანკელის ფილა წმინდა გიორგის და წმინდა თევდორეს გამოსახულებით.

XI საუკუნის I მეოთხედი.

ოთარ მაღრაძის ნოტების პრეზენტაცია რუსთაველის თეატრში გაიმართება

ჯაზპიანისტის ოთარ მაღრაძის ნოტების პრეზენტაცია რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში გაიმართება.

11 დეკემბერს პრეზენტაციასთან დაკავშირებით კონცერტი გაიმართება, სადაც ნოტები საჩუქრად დარიგდება.

„რვა ჯაზური კომპოზიცია“ – ასე ეწოდება კრებულს, რომელსაც ოთარ მაღრაძის გულშემატკივრები განსაკუთრებულად ელოდებიან.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ასტროპროგნოზი

30 ნოემბრისათვის

ვერძი – ვარსკვლავების არაკეთილსაიმედო განლაგება ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებაზე მიუთითებს. ეს განსაკუთრებით მამაკაცებს ეხება. გამორიცხული არ არის ინფექციური დაავადებების გამწვავება. **კურო** – მიამიტობა, მიმნდობლობა დღეს დაგაზარალებთ. უმჯობესი იქნება, თუ საოჯახო საქმეებს მოაწესრიგებთ. **ტყუპები** – გელით ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება. წამოჭრილი პრობლემა დაუყოვნებლივ მოაგვარეთ. **კირჩხიბი** – წარმატებული დღეა. შესაძლოა, ძალზე სარფიანი შემოთავაზება მიიღოთ. იზრდება შემოქმედებითი პოტენციალი. **ლომი** – თავს სუსტად გრძნობთ. ეჭვიანობა და ბუტიაობა სერიოზულ ჩხუბში გადაიზრდება. **ქალწული** – დღის პირველი ნახევარი იღბლიანია. იაქტიურეთ. საღამოს მოსალოდნელია პატარა კამათი ახლობელთან. **სასწორი** – თუ წინდახედულობასა და დაკვირვებულობას გამოიჩენთ, შანსი მოგეცემათ, სერიოზულ წარმატებას მიაღწიოთ. წყენას გულში ნუ ჩაიტოვებთ. **ღრიანკალი** – შესაფერისი დროა სამომავლო გეგმებზე ფიქრისათვის, თუმცა პლანეტები გაფრთხილებენ – გულს ნურავის გადაუშლით. **მშვილდოსანი** – ახალი საქმის დაწყება სასიკეთო შედეგებს გამოიღებს. გელით პოზიტიური ცვლილება პირად ცხოვრებაში. **თხის რქა** – ავანტიურისტებს ერიდეთ. მათთან საქმის დაჭერა ყველა გეგმას ჩაგიშლით. ფიზიკურად ნუ გადაიტვირთებით. **მერწყული** – ჯანმრთელობის მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. მოსალოდნელია ტრავმები, ასევე – ქრონიკული დაავადებების გამწვავება. **თევზები** – გათავისუფლდით მავნე ჩვევებისაგან. აკონტროლეთ საუბრის მანერა. საკუთარ თავს მცირე სიამოვნებაზე უარს ნუ ეტყვით.

1 დეკემბრისთვის

ვერძი – ნურავის გააკრიტიკებთ. მხოლოდ თქვენი საქმე აკეთეთ დიდი მონდომებითა და პასუხისმგებლობით. **კური** – შესაფერისი დღეა მნიშვნელოვანი საყოფაცხოვრებო პრობლემების მოსაგვარებლად. ფინანსური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ. **ტყუპები** – გეგმების შეცვლა მოგიწევთ. თავს დამატებითი მოვალეობები იჩენს. **კირჩხიბი** – შრომისუნარიანობა გეზრდებათ. შედეგიც არ დააყოვნებს. სიურპრიზების დღეა. **ლომი** – ხელმძღვანელ პირებთან მოლაპარაკებები წარმატებით ჩაივლის. თქვენი გეგმების შესახებ ნურავის ნურაფერს ეტყვით. **ქალწული** – ამბიციურობას კარგი არაფერი მოჰყვება. თავმდაბლად იმუშავეთ. დაიცავით მორალური პრინციპები. **სასწორი** – პირადი საქმეები დროებით გვერდზე გადადეთ და მეგობრებს დაეხმარეთ. ასე თავს უკეთესად იგრძნობთ. **ღრიანკალი** – ნათესავებისაგან აგრესიას გრძნობთ. ყველანაირად გაერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს. **მშვილდოსანი** – ყოველგვარი საქმიანი შეხვედრა და მოლაპარაკება დღის მეორე ნახევრისთვის გადადეთ. თქვენი მოვალეობები იზრდება. **თხის რქა** – კეთილისმყოფელი დღეა ახალი საქმის დასაწყებად, პარტნიორებთან ურთიერთობაში კონსენსუსს მიაღწევთ. **მერწყული** – ეცადეთ, დღეს მხოლოდ სულიერ სრულყოფაზე იზრუნოთ. ახალგაცნობილ ადამიანთან ურთიერთობა სიამოვნებას მოგანიჭებთ. **თევზები** – ნუ იქნებით უმადური. დააფასეთ ადამიანი, რომელიც თქვენზე ზრუნავს. ემოციები მოთოკეთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

ცოლი ქმარს ეკითხება:

– წვნიანი რამდენი ამოგიღო?

– იმდენივე, რამდენიც შენთვის დაისხი.

– ჩაგისკდა მუცელი!

•••

საძინებელში შესული ქმარი ხედავს, რომ ცოლი სასწორზე დგას და მუცლის შეწევას ცდილობს.

– გგონია, ეგ გიშველის?

– რა თქმა უნდა! აბა, სხვანაირად ციფრებს ვერ ვხედავ?!

•••

ერთი მეზობელი მეორეს ეუბნება:

– გაიგე, ჩვენი მეზობელი გივი ზუსტად საკუთარი იუბილეს წინ რომ გარდაიცვალა?

– ჰოო... რას აღარ კადრულობენ, რომ ფული არ დახარჯონ...

•••

ერთი მამაკაცი მეორეს ეკითხება:

– გიგი, ადამიანებში ვერ ვერკვევი და რა გავაკეთო?

– მე გიგი არ ვარ!

•••

საბავშვო ბაღში ბავშვები საუბრობენ. ერთ დანარჩენებს ეუბნება:

– დედაჩემს ორნი ვყავართ და ორივეს ჩვენ-ჩვენი ოთახი გვაქვს!

მეორე ამბობს:

– დედაჩემს სამნი ვყავართ და სამივეს ჩვენ-ჩვენი ველოსიპედი გვაქვს!

– დედაჩვენს კი შვიდი შვილი ვყავართ და ყველას ჩვენ-ჩვენი მამა გვყავს!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

უნაი ემერი არსენალიდან გაუშვეს

უნაი ემერი არსენალის მწვრთნელი აღარ არის.

ეს ინფორმაცია თვითონ არსენალმა ოფიციალურად დაადასტურა. 29 ნოემბერს უნაი ემერი არადამაკმაყოფილებელი შედეგების გამო თანამდებობიდან გაათავისუფლეს და მის ადგილს დროებით მისი ასისტენტი ფრედი ლუნგბერგი დაიკავებს.

ჯერჯერობით უცნობია, თუ ვინ გახდება არსენალის ახალი მწვრთნელი და ამ პოსტზე რამდენიმე კანდიდატურა განიხილება, რომელთა შორის არის მაურისიო პოჩეტინოც, რომელიც ტოტენჰემიდან ერთი კვირის წინ გაუშვეს.

არსენალი პრემიერლიგაში ამჟამად მე-8 ადგილზეა.

გრიზმანი: „ბარსელონაში არავისთან მაქვს კონფლიქტი“

ბარსელონას ფრანგმა ფორვარდმა ანტუან გრიზმანმა განაცხადა, რომ ხმები მის კონფლიქტზე მესისთან სიმართლეს არ შეესაბამება და ეს ყველაფერი მოგონილია. გრიზმანის თქმით, ის ბარსელონაში ადაპტაციას კარგად გადის და გუნდს ნელ-ნელა ეჩვევა: – ბარსელონაში ადაპტაცია იოლი არ არის, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, ყველაფერი კარგი წინ მაქვს. ბორუსიასთან გოლი ნამდვილად დამეხმარება თავდაჯერებულობაში. ყველა თანაგუნდელთან კარგი ურთიერთობა მაქვს და არავითარი კონფლიქტი არ არსებობს. ეს ყველაფერი მოგონილია.

ფაბინიო 1 თვე ვერ ითამაშებს

ლივერპულის ბრაზილიელი საყრდენი ნახევარმცველი ფაბინიო 1 თვე ვერ შეძლებს თამაშს და მოედანს იანვრის დასაწყისში დაუბრუნდება.

ფაბინიომ ტრავმა კრისტალ პალასთან შეხვედრაში მიიღო და ეს ტრავმა საკმაოდ სერიოზული აღმოჩნდა.

ლივერპულის მთავარმა მწვრთნელმა იურგენ კლოპმა განაცხადა, რომ ფაბინიოს არყოფნა მისი გუნდისთვის სერიოზული დანაკლისია, მაგრამ ისინი შეეცდებიან, რომ ეს დანაკლისი შედარებით უმტკივნეულოდ გადაიტანონ.

პოჩეტინო: „ტოტენჰემს წარმატებებს ვუსურვებ“

მაურისიო პოჩეტინომ ტოტენჰემიდან წასვლის შემდეგ პირველი კომენტარი გააკეთა და თქვა, რომ ის ტოტენჰემს მომავალში წარმატებას უსურვებს. პოჩეტინომ ასევე აღნიშნა, რომ მას ტოტენჰემში კიდევ ჰქონდა მიზნები დასახული, ამიტომ გულდაწყვეტილია:

– სამწუხაროა, რომ ტოტენჰემში უფრო მეტის გაკეთების საშუალება არ მომეცა, მაგრამ მაინც კმაყოფილი ვარ, რადგან ტოტენჰემში გატარებული დრო ყოველთვის მემახსოვრება. დარწმუნებული ვარ, ტოტენჰემი ისევ მიაღწევს წარმატებას.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

დემნა გვასალია: „ტრავმა შემოქმედებად გადაიქცა“

დიზაინერ დემნა გვასალიას შემოქმედებას მსოფლიო მარტივად აფასებს – მან ტრავმა კომერციად აქცია. თავად დიზაინერი საკუთარ წარმატებას კი ასე ხსნის:

– კომერციად ვაქციე ტრავმა? მე არც ვიცოდი, თუ რა რეაქცია მოჰყვა ჩემს შოუს საქართველოში. საინტერესოა იმის მოსმენა, რომ ზოგი ასეთ ინტერპრეტაციას აძლევს, თუმცა ჩემთვის ეს ნამდვილად არ ყოფილა ტრავმული წარსულის კომერციალიზაცია. სინამდვილეში, ეს ჩემი ტრავმის მიღება იყო და მისი შემოქმედებად გადაქცევა. ჩემი აზრით, სწორედ ესაა ყველაზე მნიშვნელოვანი, რასაც ხალხი ვერც ამჩნევს.

ტრავმა შემოქმედებად გადაიქცა და რაღაც ახალი შეიქმნა. ესაა ყველაზე საოცარი რამ, რისი გაკეთებაც შემოქმედებით ადამიანს შეუძლია. სინამდვილეში, ეს იყო პირველი შემთხვევა, რაც მახსენდება, როდესაც შემეძლო მეთქვა: მე ამ ქვეყნიდან ვარ, ეს ჩემი წარსულია, ეს ასე მოხდა. ეს არ ყოფილა ყვავილებიანი და პეპლებიანი ბავშვობა, ბედნიერი ბავშვობა. ეს ძალიან მძიმე დრო იყო. დღეს კი, პირველად ჩემს ცხოვრებასა და კარიერაში, ამაზე ლაპარაკი შემიძლია.

დიდი აუდიტორია მყავს, რომლებიც მისმენენ, აკვირდებიან, რასაც ვაკეთებ. ეს კოლექცია კი იყო ჩემებური გამოხატულება პატივისცემისა ჩემი ფესვებისადმი და იმისადმი, თუ საიდან მოვდივარ – იმის მიუხედავად, რომ იქ ბევრი წელია აღარ მიცხოვრია. თავიდანვე ვიცოდი, რომ ეს ძალიან პირადი იქნებოდა და მომიწევდა ჩემი წარსულის ამოქექვა. ამიტომაც დავიწყე ქართული ტელევიზიების ყურება, ქართული ახალი ამბების მოსმენა და ჩემთვის ერთგვარი ატმოსფერო შევიქმენი, თითქოს საქართველოში ვიყავი. შეიძლება მე იქ არ ვიყო, მაგრამ ამ ყველაფერს ჩემთვის აქვს მნიშვნელობა.

90-იანებში გავიზარდე. საქართველოს 90-იანებში. ომის შემდგომ საქართველოში. ამის პარალელურად, ვთქვათ, არსებობდა პოსტსაბჭოთა რუსეთიც, ჰოდა, ჩემი აზრით, ჩემი ოთხმოცდაათიანები მაინც სხვა იყო. ომისშემდგომ საქართველოში მეტი მილიტარიზმი იყო, მეტი შავი ფერი და მეტი დრამატიზმი, ვიდრე სხვაგან. მომწონს, რომ ხალხს თავიდანვე რეაქცია ჰქონდა ამაზე. ჩემი აზრით, სასაცილოცაა. არ ვიცი, თავად მე არავის „ტროლვა“ მსიამოვნებს, არც ის მიყვარს, როცა „მტროლავენ“. მთელი ჩემი ცხოვრება თავად ვიყავი ბულინგის სამიზნე, მაგრამ მე თვითონ არასოდეს არავინ „დამიტროლავს“. ასე რომ, მსგავსი კომენტარები, ჩემი აზრით, სრულიად არასწორია.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. კლიენტთათვის ღვინის შემრჩევი მაღალი კლასის რესტორნებში; 2. ტროპიკული პალმის ნაყოფი; 3. უანგარო ზრუნვა სხვისი კეთილდღეობისათვის; 4. მაფიის სახელწოდება იტალიაში; 5. სათავგადასავლო კინოს ერთ-ერთი ჟანრი; 7. კურორტი ბორჯომის ხეობაში; 11. იძულების, ზემოქმედების ზომა კანონის დარღვევისათვის; 13. ევრაზიის კონტინენტზე მდებარე სახელმწიფო; 15. ატმოსფერული ნალექი; 16. სატყორცნი იარაღი მძლეოსნობაში; 18. იგავ-არაკთა მამამთავარი; 19. სახელმწიფო ევროპაში.

თარაზულად: 6. მოწონების, აღტაცების კოლექტიური გამოხატვა მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით; 8. ფერადი მინების წარმოებაში გამოყენებული ქიმიური ელემენტი, ლითონი; 9. სტუდიაქაქის სახელწოდება აშშ-ში; 10. ციმბირში გავრცელებული წინვოვანი ხე, რომელიც არ ლპება; 12. იტალიური ავტომობილი; 14. კომპიუტერული თაღლითი; 17. ხილის წვენების პიურესგან მომზადებული ტკბილეული; 20. კაპიტნის თანაშემწე, უმცროსი მეთაური გემზე; 21. აეროპორტი კაიროში; 22. სადაზღვევო მოწმობა; 23. სერბი ჩოგბურთელი მამაკაცი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა